- მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია!
- რესპუბლიკაში დამზადებულია 91.659 ტონა მარცვლეული.
- მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება.



- სამშობლოს — 270.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული!
- დამზადებულია 251.606 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი.
- ფოთლის კრეფის გადამწყვეტი დღეებია — დავაჩქაროთ კრეფა!



- პირუტყვს — უხვი საკვების წლინახევრის მარაგი!
- რესპუბლიკაში ... ტონიდან დამზადებულია 504.104 ტონა უხეში საკვები.
- არ დავტოვოთ დაუზვინავი არც ერთი ცენტნერი თივა და ნამჯა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 სექტემბერი ხუთშაბათი 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 210 (15423)

ხუთწლედი—ვადამდე!

რვა თვის გეგმა შესრულდა

თბილისის სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა შეასრულეს 101,9 პროცენტით, აგვისტოს გეგმა კი — 103 პროცენტით.

მთლიანი პროდუქციის გამოშვების რვა თვის გეგმა შესრულდა 100,7 პროცენტით, აგვისტოსი — 101 პროცენტით.

წლის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 17,2 მილიონი მანეთის პროდუქცია, აგვისტოში — 3,5 მილიონი მანეთისა.

იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც რვა თვის დავალება შეასრულეს, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დიმიტროვის სახელობის საავიაციო, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი, ფოლადთუჯსამსხმელო, „მაგნიტოფონის“, სატელეგრაფო აპარატურის, ავჭალის მინის, № 1 და № 2 ღვინის ქარხნებმა, ტყავგალანტერეისა და ჩაის საწონმა ფაბრიკებმა, საწარმოო გაერთიანება „თბილთამბაქომ“ და ქალაქის სხვა საწარმოებმა.

(საქინფორმი).

საყოველთაო მოქალაქეობრივი მოვალეობა

ზაფხულია თუ ზამთარი, წლის რომელი დროც უნდა იყოს, საკუთარი ქალაქისა და სოფლის ნამდვილი კეთილმოსურნე და პატრიოტი ადამიანი, სადაც თვითონ ცხოვრობს და მოღვაწეობს, სადაც მისი შვილები და მახლობლები საქმიანობენ, არ შეიძლება არ შრომობდეს, ზრუნავდეს და ფიქრობდეს იმ ადგილის, თავისი გარემოს კეთილმოწყობის, გალამაზებისა და გაჯანსაღებისათვის.

თავისი ქალაქისა და სოფლის, ქუჩისა და ეზოს სიყვარული, საერთოდ გარემოს გალამაზებისათვის ფიქრი და კეთილშობილური გრძნობები ამოძრავებდათ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ტერიტორიაზე მომუშავე მეცნიერებსა და მოწინავე ადამიანებს, რომლებმაც გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით კოლექტიური წერილით მიმართეს ყველა თბილისელს. წერილის ავტორები გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი, საწარმოთა მოწინავე ადამიანები და რიგითი მოქალაქენი მიმართავდნენ საქართველოს დედაქალაქის ყველა მშრომელთ მტკიცედ დაიცვან თავიანთი ქალაქის ღირსება, იზრუნონ და იმოღვაწეონ ყველგან და ყველაფერში სანიმუშო წესრიგის დაცვისათვის, კეთილმოწყობის სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისათვის.

ეს კეთილშობილური წამოწყება, რა თქმა უნდა, კარგი და მისასალმებელია. მას ჩვენმა საზოგადოებამ ფართოდ დაუჭირა მხარი და მშრომელთა მასები აქტიურად ეხმაურებიან. ეს გასაკვირველიც არ არის. ჩვენს ადამიანებს ახლა საზოგადოებრივ საქმეში აქტიური მონაწილეობა თავიანთ სისხლხორცეულ საქმედ მიაჩნიათ. ამიტომ არის, რომ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ბევრი მშრომელი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ახმარს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას — ეზოს, კარმიდამოს, ახლომდებარე ქუჩის, სკვერის კეთილმოწყობასა და გალამაზებას, დასუფთავებას, უვლის და ახარებს ნარგავებს, იცავს წესრიგს, მზრუნველობით ეკიდება ბავშვებს, მოხუცებს.

ყოველივე ეს ნამდვილად პატრიოტული გრძნობებით ნაკარნახევი მოქმედებაა. საბჭოთა ადამიანები თვალნათლივ ხედავენ მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ წარმატებებს, ხალხის კეთილდღეობისათვის გაწეულ სიკეთეს.

სახელმწიფოს მიერ შექმნილ ამ სიკეთეს სჭირდება ჩვენი მზრუნველი ხელი, ჩვენი გულისხმიერი და სათუთი დამოკიდებულება. მოვლა უნდა იმას, რაც არის შექმნილი და ზრუნვაა საჭირო იმისათვის, რაც უნდა შევქმნათ ჩვენივე ძალებით ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

რედაქციაში სისტემატურად მოდის წერილები და კორესპონდენციები, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდ გულისხმიერებას იჩენენ ჩვენი გარემოს, ქალაქის, სოფლის, ქუჩის, ეზოს შემდგომი კეთილმოწყობისა და გალამაზებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და სოფელში ახლა მიმდინარეობს მუშაობა დევიზით „მოუარე, გაუფრთხილდი, გაალამაზე შენი მშობლიური ქალაქი, სოფელი“. ეს სამუშაოები, რა თქმა უნდა, მარტო კეთილმოწყობის საკითხებს როდი მოიცავს. ეს ეხება აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დოვლათის, ჩვენი ფლორისა და ფაუნის დაცვის, სანიმუშო მართლწესრიგის განმტკიცების და სხვა სადღეისო აქტუალურ საკითხებს.

ამ მხრივ უდავოდ მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა თბილისის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც უკანასკნელ ხანს კარგი, უაღრესად სახელმწიფოებრივი და სახალხო მნიშვნელობის ღონისძიებები განახორციელა. წარმატებები აქვთ მოპოვებული აგრეთვე სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, თელავის, მცხეთის და სხვა ქალაქებისა და რაიონების მშრომელებს, პარტიულ, საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ამას წინათ ცხაკაიაში გაიმართა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეკრება, რომელმაც განიხილა საკითხი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად გადაქცევის შესახებ. ასევე მნიშვნელოვან თემას მიეძღვნა აგრეთვე სოფლის მშრომელთა ყრილობა, რომელიც მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში მოეწყო. ასეთი შეკრებები და ყრილობები ბევრგან გაიმართა და ახლაც იმართება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ადამიანების ამ მოღვაწეობას, ფიქრსა და შრომას ზოგჯერ ხელს უშლიან ისეთი ელემენტები, რომლებიც ეწევიან წამგლეჯობას, მუქთახორულ ცხოვრებას, საწარმოებს, სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს იყენებენ პირადი გამდიდრებისათვის და ამით ზიანს აყენებენ ჩვენს სახელმწიფოს, ხალხს.

ასეთების მიმართ ყოვლად ულმობელნი უნდა ვიყოთ, შეუბრალებლად უნდა ვამხილებდეთ და სააშკარაოზე გამოგვქონდეს მათი ბნელი საქმეები, ვეხმარებოდეთ ჩვენს პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ ორგანოებს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

რედაქციაში, როგორც თბილისიდან, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან, ბევრი სიგნალი შემოდის იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ობიექტების მშენებლები ერთმანეთს არ უთანხმებენ სამუშაოს... ერთი რომ ქუჩაზე ასფალტს დააგებს, მეორე ისევ აყრის მას და ჰრის თხრილებს... მორჩება ეს სამუშაო და ახლა სხვა მშენებლები გამოჩნდებიან ბულდოზერებით. ეს მაშინ, როცა შეიძლება ყველა ამ სამუშაოთა კოორდინაცია, წინასწარ დაგეგმვა, რაც უთუოდ შეამცირებდა სახელმწიფო ხარჯებს და მოსახლეობასაც კარგ მომსახურებას გაუწევდა.

თუ ჩვენი ყოველი მოქალაქე გამსჭვალული იქნება იმ რწმენით, რომ თავისი შრომით წვლილი შეიტანოს ქალაქის, სოფლის, ქუჩის, ეზოს კეთილმოწყობაში, დაეხმაროს ჩვენს საზოგადოებას მართლწესრიგის განმტკიცებაში, ეს იქნება თვითეული ჩვენგანის პატრიოტული, ნამდვილი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოხდა ქვეყნის, ხალხის წინაშე.

ჩვენი ქალაქის, სოფლის ღირსებისათვის ბრძოლა თვითეული კომუნისტის, ყველა მოქალაქის სისხლხორცეული, საშვილიშვილო საქმეა.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა

ყაზახეთში, ციმბირის მხარეებსა და ოლქებში, აგრეთვე უზბეკეთში ყოფნის შემდეგ 5 სექტემბერს მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი. (საკდესი).

შეჯიბრების მოწინავენი

მშენებელთა ტემპი

თბილისი. გაერთიანება „მთავართბილმშენის“ მე-14 ტრესტი (მმართველი გ. კვიჟიძე) ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციაა, რომელსაც დედაქალაქში ფართო ფრონტით აქვს გაშლილი საბინაო მშენებლობა. მშენებლებმა საიუბილეო წელი კარგად დაიწყეს, ბევრი თბილისელი გაახარეს კეთილმოწყობილი ბინით. განვლილ პერიოდში საექსპლოატაციოდ გადასცეს 110 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სამი სასკოლო შენობა 1940 მოსწავლისათვის და ერთი საბავშვო ბაგა 280 ბავშვისათვის. საერთოდ ტრესტმა რვა თვეში 21 მილიონ 592 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა და გეგმა 101,9 პროცენტით გაანაღდა.

მშენებელთა ეს წარმატება იმან განაპირობა, რომ ფართოდ ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას. მოსკოველი ცნობილი მშენებლის ზლობინის მეთოდით ახლა აქ რამდენიმე ბრიგადა მუშაობს, რომლებიც მუდამ დროს უსწრებენ და აუმჯობესებენ მშენებლობის ხარისხს. თ. გალდავას კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელიც სამეურნეო ანგარიშზეა გადასული, წელს უკვე ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა ორი ცხრასართულიანი სახლი, წლის ბოლომდე კიდევ ჩააბარებს ერთ სახლს. სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ და პირველი წარმატებები უკვე მოიპოვეს კომპლექსურმა ბრიგადებმა, რომლებსაც თ. გოლეთიანი, გ. ქენქიშვილი, ბ. ჯომუხაძე, შ. ტოკლიკიშვილი და ა. ბედოშვილი ხელმძღვანელობენ.

ტრესტის სამშენებლო ორგანიზაციების წინაშე დიდი ამოცანები დგას. წლის ბოლომდე გეგმით საექსპლოატაციოდ კიდევ უნდა გადასცენ 100 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მშენებლები გეგმის შესრულებისათვის ყველაფერს აკეთებენ. დღეისათვის უკვე მზად არის რამდენიმე კორპუსი და მიმდინარეობს შიდამოპირკეთებითი სამუშაოები. ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემა შეაფერხებს იმის გამო, რომ საგრძნობლად ჩამორჩება სანტექნიკური მონტაჟი. ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს სანტექმონტაჟის თბილისის სამმართველომ. მისი მიზეზით გეგმის ჩამორჩენა ყოვლად დაუშვებელია.

ტრესტის ყველა სამშენებლო სამმართველო ჯამართულად შრომობს, მაგრამ არიან მოწინავე ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა მისაბაძიც არის. ესენია მე-9, მე-2, მე-6, მე-7, მე-3 და მე-8 სამშენებლო სამმართველოები, რომლებსაც ი. კვარაცხელია, მ. ჯამია, ა. სილაგაძე, ნ. ხარაბაძე, ტ. ცინცაძე და ნ. სიხარულიძე ხელმძღვანელობენ.

წლის ბოლომდე დიდი დრო როდი დარჩა. მშენებლები დღითიდღე აძლიერებენ შრომის ტემპს, ჩქარობენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ საიუბილეო წლის გეგმა, რომ რაც შეიძლება მეტმა ახალმოსახლემ იზეიმოს დიდი იუბილე ახალ ბინაში.

ზ. ჯამასპიშვილი.

დაზოგილი მასალებით

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ქაღალდის ფაბრიკის (დირექტორი ბ. ხახიშვილი) კოლექტივი პირნათლად ასრულებს საიუბილეო წელს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. მექაღალდეებმა გადაჭარბებით შეასრულეს რვა თვის გეგმა. პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 27 ათასი მანეთით გადააჭარბეს, სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისას — 25 ათასი მანეთით. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 182 ტონა ქაღალდი და 29 ტონა მუყაო.

საწარმოში მტკიცედ ახორციელებენ მომჭირნეობის რეჟიმს და სასურველ შედეგსაც აღწევენ. ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე მნიშვნელოვნად შეამცირეს დანახარჯები და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 35 ათასი მანეთით შეამცირეს. დაზოგილი მასალებით მიმდინარე წლის რვა თვეში 7 ტონა ქაღალდი და 5 ტონა მუყაო გამოუშვეს.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და ცვლის დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ბრიგადები, რომლებსაც ო. გვაზავა, ბ. სხირტლაძე, ზ. ბალულიანი და ო. ლვინიანიძე ხელმძღვანელობენ.

ქირქვების კარიერებზე

ზღვის დონიდან 950 მეტრზე მდებარეობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საფლუსო კირქვების წითელწყაროს მაღაროთსამმართველოს კარიერები, საამქროები და საწარმოები. აქ დამზადებული პროდუქცია იგზავნება არა მარტო რუსთავში, არამედ თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატში და სხვა საწარმოებში.

კარიერები აღჭურვილია მაღალი წარმადობის სამთამადნო მექანიზმებითა და მანქანებით. კირქვების მარაგი აქ უთვალავია.

სურათებზე: ზემოთ (მარცხნიდან მარჯვნივ) — მოწინავე მეექსკავატორე ა. ზურაშვილი, უფროსი ზეინკალი ვ. სოხინი, მბურღავი რ. ლაპიაშვილი და მძღოლი ა. ზავგოროდნი, ქვემოთ — ღია კარიერის დამუშავება.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს დღეები სოფლად

◻

რთველი გურჯაანელთა ზვრებში

გურჯაანი. (საქ. კორ.). შემოდგომამ შემოაბიჯა გურჯაანელთა ზვრებში, რთველი გაჩაღდა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ყურძნის კრეფა პირველმა დაიწყეს კარდანახის, შრომისა და მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა.

მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახებში 500-ზე მეტი მშრომელი ტრიალებს, ყურძნის მკრეფავები ერთმანეთს ეჯიბრებიან მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში. დაწნულ ყურძნით დატვირთული ავტომანქანები ერთიმეორის მიყოლებით იგზავნება ღვინის ქარხნებში, სამ დღეში მუკუზნელებმა ღვინის ქარხანას 300 ტონამდე ყურძენი მიაწოდეს. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა და ხანგრძლივი გვალვისა, აქ მთელი რიგი ბრიგადები ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. მეცხრე ბრიგადაში, რომელსაც სათავეში ა. ბეჟანიშვილი უდგას, ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერ ყურძენს კრეფენ. ასეთივე მოსავალი აქვს მეათე ბრიგადას, რომელსაც ე. მაზანაშვილი ხელმძღვანელობს.

წლევანდელ პირობებთან შეფარდებით ყურძნის კარგი მოსავალი აქვს შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას, რომელმაც 100 ტონაზე მეტი ყურძენი ჩააბარა ღვინის ქარხანას.

რთველს მომზადებული შეხვდნენ რაიონის ღვინის ქარხნები. მათ უკვე მიიღეს და გადაამუშავეს 600 ტონაზე მეტი ყურძენი.

მალე რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში რთველი მასობრივად გაჩაღდება.

ა. თვალიაშვილი.

კრეფენ უდანაკარგოდ

◻

1.500 ტონა ჩაისათვის

◻

ოჩამჩირელმა მეჩაიეებმა ფოთლის კრეფის წლიური გეგმა უკვე გადაჭარბებით გაანაღდეს, რაიონში კვლავ უდანაკარგოდ იღებენ ფოთოლს. მათი გადაწყვეტილებაა სეზონში წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ 1.500 ტონა „მწვანე ოქრო“.

ფოთლის დროულად აღების საქმეში თავიანთი სასახელო წვლილი შეაქვთ მოქვის საბჭოთა მეურნეობის საკრეფ მანქანა „საქართველოზე“ მომუშავე მექანიზატორებს ა. თარბასა და ი. ვასიუკოვს. პირველს მანქანით აღებული აქვს 45 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული, მეორეს — 34 ათასი კილოგრამი. ისინი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან და ყოველდღე ასობით კილოგრამ ჩაის კრეფენ. (საქ. კორ.).

სსრკ 50

გულთბილი მასპინძლობა

ხალხთა მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად იქცა მოძმე ხალხების წარმომადგენელთა შეხვედრები. ისინი თბილისში ჩამოდიან მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების დღეებში მონაწილეობისათვის, რომლებიც ეწყობა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციის ინიციატივით.

გულთბილად მასპინძლობენ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები კიევისა და ვილნიუსის წარმომადგენლებს, რომლებიც 5 სექტემბერს ჩამოვიდნენ საქართველოში.

უკრაინის დელეგაციის შემადგენლობაში არიან კიევის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ზაცეპილინი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე პროფესორი მ. პრიგოდი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. კოვალსკი.

ლიტვის სს რესპუბლიკის დელეგაციაში შედიან ლიტვის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ბუტკუსი, ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ი. კლებანოვასი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი ვ. მარტინკუსი.

5 სექტემბერს უკრაინელი სტუმრები იყვნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მათ დაათვალიერეს უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო ლაბორატორიები და სასწავლო მეურნეობა, აუდიტორიები, გაეცნენ ინსტიტუტის სასწავლო პროცესსა და მასწავლებელთა და სტუდენტთა მეცნიერულ კვლევებს.

შეხვედრაზე, რომელიც ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა, სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ა. ჩარქსელიანი, სტატისტიკისა და საბუღალტრო აღრიცხვის კათედრის გამგე პროფესორი ნ. ლაჭყეპიანი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ტ. ლაცაბიძე.

ინტერესით შეხვდნენ უკრაინის დელეგაციის წევრების გამოსვლებს. ვ. ზაცეპილინმა ილაპარაკა საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკრაინის ეკონომიკის აყვავებაზე. „უკრაინის საბჭოთა ლიტერატურა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების ძმურ ოჯახში“ ამ თემას მიუძღვნა სიტყვა მ. პრიგოდიმ. იმაზე, თუ როგორ ემზადებიან უკრაინელი მშრომლები სახელოვანი დღესასწაულისათვის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის, ილაპარაკა ბ. კოვალსკიმ.

ლიტვის სს რესპუბლიკის წარმომადგენლები ეწვივნენ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივს. მათ მიესალმნენ ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი ნ. ვასაძე, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ლენინური სტიპენდიანტი ნ. სვანიძე.

ლიტვის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს ლიტვის სს რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კულტურისა და მეცნიერების დარგში მიღწეულ წარმატებებზე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ლიტვური ლიტერატურის აყვავებაზე.

რესპუბლიკის ტელესტუდიაში სტუმრებს უჩვენეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოფილმები. შემდეგ ისინი გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

5 სექტემბერს პირველი მაისის რაიონის მშრომელებს ეწვივნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების დღეების მონაწილენი—მინსკელი და რიგელი სტუმრები.

საქართველოს დედაქალაქში ყოფნის პირველ დღეს რიგის დელეგაციის წევრები — ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. დუმპე, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი კ. სვილპე, თეატრალური კრიტიკოსი, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ჰაუსმანი გულთბილად მიიღეს თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ზ. ნაზარიშვილმა.

მოძმე რიგის წარმოგზავნილებმა შეხვედრაზე ილაპარაკეს საბჭოთა ლატვიის წარმატებებსა და მიღწევებზე, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე, ჩვენი რესპუბლიკების მოძმე ხალხთა ეკონომიურ და სხვა მეგობრულ ურთიერთობაზე.

ქართველი და ლატვიელი პოეტების, კულტურის წარმომადგენლების შემოქმედებითი ურთიერთობას მიუძღვნა გამოსვლა ვ. ჰაუსმანმა.

მინსკის მშრომელთა წარმომადგენლები — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე ა. ქუროვი, დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგე ვ. მავრიშჩევი, მწერალი ი. გრომოვიჩი საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლის პირველ დღეს შეხვდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებს.

— ჩვენი ხალხები ტერიტორიულად შორს არიან ერთმანეთისაგან, — თქვა ა. ქუროვმა. — მაგრამ გულით ყოველთვის ახლოს ვართ. ბელორუსები კარგად იცნობენ მოძმე საქართველოს ისტორიას, მდიდარ კულტურას, სახელოვან რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს. ჩვენი შვილები იზრდებიან მსოფლიო ლიტერატურის ისეთ კლასიკურ ნაწარმოებებზე, როგორიც არის თქვენი უკვდავი პოეტის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს უყვარს ჩვენი დიდი პოეტები იაკუბ კოლასი, იანკა კუპალა.

საქართველოს მშრომელებთან შეხვედრა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდია ჩვენი ხალხების სიყვარული, რომლებიც ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ და მეგობრულ მრავალეროვან ოჯახში.

(საქინფორმი).

საუბარი ა. ნ. კოსიგინთან

6 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო საქმეთა მდივანი ტ. ნ. კაული, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ინდოეთისათვის ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე. (საკდესი).

კორეელი ხალხის დღესასწაულის აღსანიშნავად

5 სექტემბერს მოსკოვში, არქიტექტორის ცენტრალურ სახლში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის XXIV წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, პ. ნ. დემიჩევი და სხვები.

მოხსენება გააკეთა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. პანკოვმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში კვონ ჰი გენმა. მან ილაპარაკა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელოვანი გზის შესახებ, რომელიც განვლო კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობასა და შეკავშირებას, თქვა მან, დიდი ხნის ტრადიციები აქვს. საბჭოთა ხალხი ჩვენს ხალხს დაეხმარა განმათავისუფლებელ ბრძოლაში იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მხარს უჭერდა მის ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისა და ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის. დღეს კი საბჭოთა კავშირი აქტიურად უჭერს მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლას სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების გაყვანისა და სამშობლოს დამოუკიდებელი, მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. დასასრულ ელჩმა ახალი დიდი წარმატებანი უსურვა მოძმე საბჭოთა ხალხს, რომელიც ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

(საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

პარტიული ცხოვრება

მუდამ შრომასა და ძიებაში

სიტყვა კომუნისტებზე

Მას ქუთაისში შევხვდი. ჩემს წინ იდგა შუახნის წარმოსადეგი ვაჟკაცი ოდნავ შევერცხლილი თმით და მოღიმარი, ნათელი სახით. ეცვა ლითოფონის მტვრისაგან გათეთრებული სამუშაო ტანსაცმელი, რომელსაც აქაიქ ეტყობოდა თავისი ნამდვილი, ლურჯი ფერი. გულის ჯიბეში შტანგელცირკული ედო და მუდმივი კალამი ეკეთა. დინჯად, აუღელვებლად მელაპარაკებოდა მაღალი ხმით, რადგან საამქროში მანქანების გაბმული გუგუნი იდგა. დროდადრო მზერას მტაცებდნენ მუცლებდაბერილი დეკანტატორები, ვეება ელევატორები, გავარვარებული საშრობი ღუმელები. ერთმანეთს გადახლართოდა უამრავი მილი და ხიდი. ირგვლივ ყველაფერი თეთრად ქათქათებდა. სახეები გასთეთრებოდათ ადამიანებსაც, რომლებიც თავიანთი საქმეებით იყვნენ გართულნი.

მექანიკოსთა თავკაცი გრიგოლ უგულავა საქმის ცოდნით მიხსნიდა ქარხნის ძირითადი საამქროს დანიშნულებას. — ლითოფონის საამქროში პროდუქციის წარმოება ორ ძირითად სტადიას გადის: პირველად მიიღება ნახევარფაბრიკატი, რომელიც შემდეგ ფაბრიკატად გადამუშავდება. თვითეული სტადია რამდენიმე ოპერაციისაგან შედგება...

ოცდაათ წელზე მეტია, რაც კომუნისტი გრიგოლ უგულავა შრომაში იწრთობა და სიმტკიცეს იძენს ცხოვრების ცეცხლის დუღილში. მისი ცხოვრება კი წულუკიძის რაიონის სოფელ ლვედში დაიწყო. გლეხის შვილმა 1941 წელს დაამთავრა წულუკიძის მექანიზაციის ტექნიკუმი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა გრიგოლის მთელ შემდგომ ცხოვრებაზე. სამშობლოს დასაცავად საბჭოთა არმიის რიგებში წასული ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ერთხანს ლვედში, ლითოფონის ქარხნის ბარიტის კარიერზე მუშაობდა, შემდეგ კი ქუთაისში გადავიდა ამავე საწარმოს ბარიუმის საამქროს მექანიკოსად. ამას მოჰყვა სწავლა მოსკოვში, ინჟინერ-მექანიკოსთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგაც კვლავ ლითოფონის ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

— ლითონი იწრთობა ცეცხლში, კაცი კი — შრომაში. დაუჯერე შენზე უფროს, გამოცდილ ადამიანებს. ხასიათი არც ლითონია და არც ხე. მას უცბად ვერ გაგლინავ და ვერც გარანდავ. ახლაც სიტყვა-სიტყვით ახსოვს გრიგოლს მამის ეს სიტყვები, რომლებიც მან შვილს ქალაქს წასვლისას დაადევნა. და გრიგოლიც მუდამ უჯერებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც მეტი იცხოვრეს და მეტი ნახეს. შემდეგ კი იგი ამასვე მოითხოვდა და მოითხოვს თავისი აღსაზრდელებისაგან.

ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს ქუთაისის ლითოფონის ქარხნის სამუშაო უბნები, მაგრამ განსხვავებული არიან ადამიანები სახით, ასაკით, ხასიათით, ბიოგრაფიით, თუმცა ყოველ მათგანს ანათესავებს ერთი საერთო მოვალეობა — შრომისადმი სიყვარული, სამშობლოსადმი მაღალი მოვალეობის გრძნობა. არ უღალატონ მისი უდიდებულესობის — მუშათა კლასის საქმეს, ღირსეულად დაიცვან ქარხნის ტრადიციები, თავიანთი წვლილი შეიტანონ ახალი საზოგადოების მშენებლობაში, — ასეთია ლითოფონელთა დევიზი, რასაც აღწევენ კიდევაც. 1968 წლიდან ისინი წარმატებით ასრულებენ გეგმებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით და არაერთხელ გაუმარჯვნიათ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამასთან ყველგან ქებით იხსენიებენ მათს ნახელავს — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცოცხლობს, გზას მიიკვლევს კოლექტივის ნათელი ოცნება.

კომუნისტებისაგან იღებენ მაგალითს. ისინი ადუღაბებენ კოლექტივს ერთ მეგობრულ ოჯახად. ამ შრომით კოლექტივში აღიზარდა კომუნისტი გრიგოლ უგულავაც, რომელსაც ახლა ქუთაისში იცნობენ როგორც შრომისმოყვარე, თავისი საქმის მცოდნე, პატიოსან, მართალ და მოკრძალებულ ადამიანს.

ძნელია გაიხსენო ყველაფერი, რაც გააკეთა 31 წლის მანძილზე უგულავას დიდმა, მძლავრმა, დაძარღვულმა ხელებმა. ქარხნის ხმა, წარმოების სუნთქვა გადამწყვეტი გახდა მის მუშაობაში. საამქროში ნახევარი — ერთი საათით ადრე მიდის, ანაწილებს ბრიგადებს. ამოწმებს ყველა აპარატდანადგარის მდგომარეობას, ასწორებს ხარვეზებს ან სათანადო თადარიგს იჭერს.

გრიგოლ უგულავა ახლა სახელმოხვეჭილი, ლენინის ორდენოსანი კაცია, მაგრამ ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ მისი ცხოვრების გზა მუდამ ვარდყვავილებით იყო მოფენილი და მისი თანამგზავრი მხოლოდ გამარჯვებანი იყო.

ჯერ ექვსი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც მან თავის ამხანაგებთან ერთად შრომის ფრონტზე ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ბრძოლა მოიგო. აი რას წერდა მაშინ ამის შესახებ პრესა:

„გვიან ღამით ლითოფონის ქარხანაში მბრუნავ ღუმელზე გამოინგრა ცეცხლგამძლე ამონაგები. ღუმელი კი ქარხნის გულია, მისი გაჩერება იმას ნიშნავს, რომ ქარხანა მწყობრიდან გამოვიდეს. უფროსმა დისპეტჩერმა კომუნისტმა დიმიტრი ხორავამ მაშინვე განგაში გამოაცხადა. ადამიანებმა არ დაუწყეს ლოდინი ღუმელის სრულ გაცივებას, ვინაიდან ესმოდათ, რომ ყოველი დაკარგული საათი ასობით კილოგრამი ძვირფასი პროდუქციის დაკარგვას ნიშნავდა. ქარხნის დირექტორმა კომუნისტმა გ. ძიმისტარიშვილმა თბოსაიზოლაციო ტანსაცმელი ჩაიცვა და პირველი შევიდა გავარვარებულ ღუმელში, სადაც ტემპერატურა 70-80 გრადუსს აღწევდა. მას მიჰყვნენ კომუნისტები პეტრე კაცაძე, გიორგი ასათიანი და ოთარ ღვალიშვილი. იმ ღამეს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საამქროს მექანიკოსმა გრიგოლ უგულავამ, მეღუმელეებმა ოთარ ნინიკაშვილმა, პავლე კურეპინმა და შოთა ლანჩავამ, დამხმარე მუშებმა ალბერტ ელიაშვილმა და ნიკოლოზ ქვანიამ, ოსტატმა მეღუმელემ ივანე ქობულოვმა, მეაპარატეებმა ალექსანდრე ფრანგიშვილმა, დადაშ ჩარკვიანმა და გიორგი ამბროლაძემ, ზეინკლებმა ივანე გოგოლაშვილმა, პიმენ ბარაბაძემ, ვალიკო არსენიძემ და გურამ დოხნაძემ. თავიანთი გმირული მოქმედებით მათ საწარმოს თავიდან აიცილეს სერიოზული ავარია. ღუმელი აღდგენილ იქნა სარეკორდოდ მოკლე ვადაში — 36 საათში, იმაზე 60 საათით ადრე, ვიდრე ჩვეულებრივად სრულდება ასეთი სამუშაო".

მუდამ ახლის მაძიებელი, ყოველივე პროგრესულის დანერგვის ორგანიზატორი, ქარხნის აქტიური რაციონალიზატორი — ასე იცნობენ უგულავას ქუთაისში.

ფაქტები? რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

ამ წლინახევრის წინათ ქარხნის პოლიტიკური განათლების კაბინეტში მოწვეული იყო საამქროების უფროსთა და მექანიკოსთა თათბირი. დღის წესრიგში იდგა საწარმოს აპარატ-დანადგარების სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენების საკითხი, რომელიც კონკრეტულმა ვითარებამ დააყენა. ეს კი შემდეგი გარემოებით იყო გამოწვეული: მანამდე ყველა საამქროს თავისი მექანიკოსი ჰყავდა და საჭიროების შემთხვევაში მათი სხვა უბნებზე გადაყვანა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საკითხის განხილვამ ფართო მსჯელობა გამოიწვია. ყველა თავის აზრს გამოთქვამდა, მაგრამ სწორი გზა მაინც არ ჩანდა. მაშინ სიტყვა აიღო გრიგოლ უგულავამ. მან საჭიროდ მიიჩნია მექანიკური სამსახურის ცენტრალიზაცია, რაც სათანადოდ დაასაბუთა კიდეც. თათბირის შემდეგ ამ საკითხით დაინტერესდნენ ქარხნის ადმინისტრაცია და პარტკომი. საბოლოოდ საკითხი დადებითად გადაწყდა.

მრავალი რაციონალიზატორული წინადადებიდან, რომლებიც გრიგოლ უგულავას ეკუთვნის, 21 დანერგილია წარმოებაში და მათი საერთო წლიური ეკონომიური ეფექტი 20 ათას მანეთს აღემატება. მისი მოუსვენარი აზრისა და დაუღალავი მარჯვენის ნაყოფია, მაგალითად, ცენტრიდანული ტუმბოს რეკონსტრუქცია, ბურთულიანი წისქვილის ჩასატვირთავი თავის შეცვლა, ბარიტის შრობის გაუმჯობესება, საშრობის ავტომატური გამორთვა და სხვ. მაგრამ გრიგოლი საკუთარ ნაჭუჭში როდია ჩაკეტილი. მას ხშირად ნახავთ ახალგაზრდებთან, რომლებსაც რჩევას აძლევს, უკარნახებს ახალ თემებზე მუშაობას, უანგაროდ ეხმარება საჭირო ნახაზების შედგენასა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვაში. მან აღზარდა მექანიკოსები პ. ბარაბაძე და დ. გოგიაშვილი, რომლებიც მთელ რიგ რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორები არიან და ზეინკლის პროფესიას ფლობენ. უგულავამ ურჩია დ. მაჭკებლაძეს ეზრუნა ლითოფონის გუფელებიან ღუმელებში პროდუქციის მიმწოდებელი უსასრულო ხრახნის რეკონსტრუქციაზე.

— ყველაზე მეტად რა არის საჭირო ადამიანთა გულის მოსანადირებლად, — ვეკითხები გ. უგულავას.

— სითბო, — მიპასუხებს და სახეზე თბილი, კეთილი ღიმილი ეფინება. მართლაც, იგი თვითეულ ადამიანს უნაწილებს გულის სითბოს, სწვდება მათს მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

ქარხნის ნოვატორი ხშირად გამოდის პარტიულ და პროფკავშირულ კრებებზე, საწარმოო თათბირებზე, კამათობს, თუ ეს საჭიროა, რა დროც უნდა იყოს. ყველასთან მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, მოურიდებლად აკრიტიკებს ამხანაგებს და ისინიც უმტკივნეულოდ იღებენ მის შენიშვნებს.

სიტყვასაც უქმებენ აგიტატორ გრიგოლ უგულავას. უკვე ხუთ წელზე მეტია იგი 2-3 დღეში ერთხელ აწყობს საუბრებს, რომლებსაც მჭიდროდ უკავშირებს ქარხნის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს. მსმენელებიც უჯერებენ მას, რადგან აგიტატორი თვითონ არის მაგალითი შრომასა და ყოფაში.

გ. ზუკაკიშვილი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

დამსვენებელი სტუმარია — ვიყოთ კეთილი მასპინძელი

რედაქციას უპასუხებს ტრესტ „საქკურორტრემმშენი"

ჩვენს გაზეთში ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილთან დაკავშირებით „საქკურორტრემმშენის" ტრესტის მმართველმა შ. ბუჯაჯიანმა, პარტბიუროს მდივანმა ბ. ცაგურიამ და პროფკავშირის გაერთიანებული მშენკომის თავმჯდომარემ შ. დვალიშვილმა რედაქციას შემდეგი აცნობეს.

საკავშირო პროფსაბჭოს საწარმოო გაერთიანება „კურორტმშენის" საქართველოს „კურორტრემმშენის" ტრესტის ადმინისტრაციამ, პარტიულმა ორგანიზაციამ და პროფკავშირების გაერთიანებულმა მშენკომიტეტმა გულდასმით განიხილეს და შეისწავლეს გაზეთ „კომუნისტის" 6 ივლისის ნომერში რეიდის მონაწილეების მიერ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი სათაურით **„დამსვენებელი სტუმარია — ვიყოთ კეთილი მასპინძელი"**.

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ტრესტის ხელმძღვანელობამ მიიღო სათანადო ზომები წერილში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ტრესტ „საქკურორტრემმშენის" აფხაზეთის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს კ. კაკუბავას სამუშაოების უხარისხოდ შესრულებისათვის ბრძანებით გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მთავარი ინჟინერი რ. ცანავა ჩამოქვეითებულია თანამდებობიდან და გადაყვანილია ტრესტის უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის კურორტთა მართვის საოლქო საბჭოს ობიექტებზე 1972 წლის დამტკიცებული გეგმით კაპიტალური შეკეთებისათვის გათვალისწინებული აქვს 305,4 ათასი მანეთის სამუშაოები. ფაქტიურად სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ ექვს თვეში შეასრულა 344,2 ათასი მანეთის სამუშაოები. ე. ი. წლიური გეგმის ზევით 39,8 ათასი მანეთის გადაჭარბებით. სინამდვილეს შეეფერება ის გარემოება, რომ წერილში მოყვანილი ობიექტები საჭიროებენ კაპიტალურ შეკეთებას, მაგრამ მიმდინარე წლის ტრესტის გეგმაში მათი კაპიტალური შეკეთება გათვალისწინებული არ არის.

წელს პლანტაციის კარგი მოვლისა და ფოთლის ყოველგვარ ამინდში კრეფის შედეგად ქობულეთის რაიონის მშრომელებმა ჩაის ნედლეულის უხვი მოსავალი მოიყვანეს. ამის შედეგად ვადაზე ადრე შეასრულეს ფოთლის კრეფის წლიური დავალება. ახლა რაიონში „მწვანე ოქრო" ახალი ვალდებულების ანგარიშში იკრიფება.

რაიონის ამ მიღწევაში თავისი წვლილი შეიტანა სოფელ ზენითის კოლმეურნეობამ. აქაურებმა იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 80 ტონა ფოთოლი.

სურათზე: ბრიგადის ხელმძღვანელი შ. ირემაძე (შუაში) ამოწმებს კოლმეურნეების მ. ათაბაძისა (მარცხნივ) და ე. ბეჟანიძის მიერ მოკრეფილი ფოთლის ხარისხს.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეფექტურობის ამაღლების პრობლემები

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის სიკეთე თბილისის რძის კომბინატში

Დილაადრიან ყველას შეგიმჩნევიათ, თბილისის ქუჩებში რძე და რძის პროდუქტები რომ იყიდება. აბა წარმოიდგინეთ, ერთ დღესაც რომ შეფერხდეს თბილისის ერთადერთი რძის კომბინატის მუშაობა, რამდენ უკმაყოფილებას გამოიწვევს. საწარმოს კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული ეს დიდი პასუხისმგებლობა და ყოველმხრივ ცდილობს არსებულ საწარმოო ფართობზე, მინიმალური კაპიტალური დაბანდებით, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით გაზარდოს პროდუქციის გამოშვება და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს თბილისის მოსახლეობის მოთხოვნილება რძეზე და რძის პროდუქტებზე.

კომბინატს ახალ წარმატებათა მოპოვებაში დიდად დაეხმარა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლა. ამ ახალი მეთოდით 1967 წლიდან ვმუშაობთ და წლითიწლობით იზრდება წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, მდიდრდება პრემირების ფონდები.

კომბინატმა ხუთწლედის პირველი წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა, გადაჭარბებით შესრულდა მოგების გეგმა, რამაც საშუალება მოგვცა მატერიალური წახალისებისა და პრემიების ფონდში 146.238 მანეთი ჩაგვერიცხა. აქედან გავეცით 120.054 მანეთი, სოციალურ-კულტურული ფონდიდან მუშათა უფასო კვებაზე დახარჯულია 22.621 მანეთი. წარმოების გაფართოების ფონდში 301,881 მანეთი ჩაირიცხა, საიდანაც 247.262 მანეთი დაიხარჯა.

მიუხედავად მკაცრი და ხანგრძლივი ზამთრისა, კარგად ვიმუშავეთ ხუთწლედის მეორე წლის პირველ ნახევარშიც. მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით გავიმარჯვეთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოვიპოვეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი ჯილდო. წლის პირველ ნახევარში პრემიებისა და წახალისების ფონდში 215.055 მანეთი ჩაირიცხა, საიდანაც მუშებზე უკვე გავეცით 124.131 მანეთი, ხოლო მუშათა უფასო კვებაზე დახარჯულია 15.754 მანეთი. მუშათა საშუალო ხელფასი 22 პროცენტით გაიზარდა, ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულია ხელფასის 30 პროცენტამდე გადიდება.

ახალი სისტემით მუშაობის მანძილზე წარმოების ფონდებიდან აშენდა 72-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. რეკონსტრუქცია გაუკეთდა მუშათა სასადილოს, აშენდა კულტსაყოფაცხოვრებო ობიექტები, მოეწყო საშხაპო, გარდერობი, ქალთა ჰიგიენის ოთახი, სამრეცხაო და სხვა მრავალი. გაფართოვდა საამქროები, შეძენილ იქნა ახალი დანადგარები.

რით მიაღწია საწარმომ ეკონომიური მაჩვენებლების ასეთ გაუმჯობესებას? უპირველეს ყოვლისა არსებულ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვების გადიდებით, მისი ხარისხის ამაღლებით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით.

უკანასკნელ წლებში ბევრი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება განვახორციელეთ, რომლებმაც ხელი შეგვიწყო მიგვეღწია ამ წარმატებისათვის.

ხაჭოსა და მჟავე რძის ნაწარმის საამქროებში სამუშაო დღის ქრონომეტრაჟის მეთოდით მოვაწყვეთ სამუშაო დროის გამოყენების შესწავლა. დადგინდა, რომ აღნიშნულ საამქროებში შრომის არასწორი ორგანიზაციის გამო ცვლაში უნაყოფოდ იკარგებოდა 72 კაცსაათი, დაისახა გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელების შედეგად მოცდენები მთლიანად მოისპო და შრომის ნაყოფიერება 3 პროცენტით გაიზარდა.

ხაჭოსა და დიეტურ საამქროებში გადაისინჯა მოძველებული გამომუშავების ნორმები, შეიცვალა ისინი ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით. ამან უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ამაღლება 6,5 პროცენტით. ამავე საამქროში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის განხორციელების შედეგად 15 პროცენტით გაიზარდა წვრილად შეფუთული ხაჭოსა და ტკბილი ყველეულის გამოშვება.

მჟავე რძის ნაწარმის საამქროში დამონტაჟდა არაჟანისათვის საჭირო ორასგრამიანი ქილების სარეცხი მანქანა, აქ ხელით შრომა მანქანამ შეცვალა. გამოთავისუფლდა სამი მუშა, ქილების რეცხვის წარმადობა 12 პროცენტით ამაღლდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 7 პროცენტით გაიზარდა. დიეტურ საამქროში დამონტაჟდა კონვეიერი, რომლის საშუალებითაც საწყობიდან ბოთლების მიწოდების პროცესი შესამჩნევად დაჩქარდა და სამუშაო დროის დანაკარგები 12 პროცენტით შემცირდა, დატვირთვა-გადმოტვირთვის კოეფიციენტი 4,5 პროცენტით გაიზარდა.

რძის საჩამომსხმელო საამქროში დავამონტაჟეთ რძის ქაღალდის პაკეტებში და ტუშის ბოთლებში ჩამოსასხმელი ნახევრადავტომატური მანქანები. აქ შრომის ნაყოფიერება 19,5 პროცენტით გაიზარდა, რამაც საშუალება მოგვცა საამქრო ერთ ცვლად მუშაობაზე გადაგვეყვანა.

საექსპლოატაციოდ გადაეცა არაჟანის ახალი საამქრო, სადაც წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, მათ შორის მძიმე შრომატევადი პროცესები მთლიანად მექანიზებულია, შრომის ნაყოფიერება 85 პროცენტით გაიზარდა.

ამრიგად, გატარებულ ღონისძიებათა შედეგად შესამჩნევად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა სამუშაო დროის დანაკარგები, ხოლო შრომის ნაყოფიერება საერთოდ კომბინატში 3,8 პროცენტით გაიზარდა. 1971 წელს წინა წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 1 მილიონ 250 ათასი მანეთით გაიზარდა, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3 მილიონ 358 ათასი მანეთით.

შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით სასაქონლო პროდუქციის გამოშვება 19,8 პროცენტით გადიდდა. მივიღეთ 410 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, საიდანაც შეიქმნა ზემოთ დასახელებული წახალისების ფონდები.

კომბინატის მაღალნაყოფიერ შრომაზე ისიც მეტყველებს, რომ მიღწეული შედეგებით 25-ჯერ გავიმარჯვეთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოვიპოვეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მიღწეული ზღვარი არ არის. გულდასმით განვიხილეთ სვერდლოვსკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით პროდუქციის გამოშვების გადიდების საქმეში და დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ მკვეთრად გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, ავამაღლოთ მისი ხარისხი და შეუფერხებლად მოვამარაგოთ თბილისის და რუსთავის მოსახლეობა რძითა და რძის პროდუქტებით.

მაგრამ არის ზოგიერთი საკითხი, რომელთა მოგვარება ხელს შეგვიწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, კომბინატის კადრებით განმტკიცების საქმეში.

ამჟამად მოქმედი მუშათა სასადილო და წითელი კუთხე მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებებს მხოლოდ მინიმუმს აკმაყოფილებს. სასადილო საექსპლოატაციოდ გადაეცა 1953 წელს, მაშინ როდესაც მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა 150-200 კაცს შეადგენდა. მას შემდეგ კომბინატი გაიზარდა, მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობამ 500 კაცს მიაღწია. ამჟამად სასადილოსა და წითელი კუთხის ფართობი ერთ მომუშავეზე 0,6 კვადრატულ მეტრსაც კი არ შეადგენს. ცხადია, ეს ძალიან მცირეა, ახლის ასაშენებლად სახსრები გვაქვს, მაგრამ არ გაგვაჩნია სათანადო ტერიტორია. მართალია, რაისაბჭოს აღმასკომმა გამოგვიყო 0,14 ჰექტარი ფართობი, მაგრამ იგი დასახლებულია, ხოლო მოსახლეთა გაყვანის საშუალება კომბინატს არ გააჩნია.

კომბინატიდან ყოველდღიურად ავტოტრანსპორტით 200 ტონა რძე და რძის პროდუქცია უნდა გავიტანოთ ქალაქში სარეალიზაციოდ. ამ საქმეს ემსახურება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მე-5 ავტოსაწარმო ბაზა. ხშირია შემთხვევა, როცა მძღოლები დაგვიანებით ცხადდებიან, სავაჭრო ორგანიზაციებში პროდუქციის გადატანა გვიანდება. ცხადია, ეს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. არის შემთხვევები, როცა მანქანა დროზე მიდის, მაგრამ იგი გაუმართავია და პროდუქციის გატანა ფერხდება. ავტომანქანებზე მისაბმელები აჩქარებს ტვირთების გადატანას, მაგრამ რძისა და რძის პროდუქციის გადასატანად არ ვარგა, ამიტომ ისინი მანქანებით უნდა შეიცვალოს. ამას მოითხოვს რძის პროდუქტების ხარისხის დაცვა.

ზემოთ დასახელებული საკითხების მოგვარება საშუალებას მოგვცემს კვლავ განუხრელად ვიზრუნოთ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, თბილისისა და რუსთავის მშრომელების რძითა და რძის პროდუქტებით შეუფერხებლად მომარაგებისათვის.

ვ. მაღლაკელიძე,
თბილისის რძის კომბინატის
გენერალური დირექტორი.

შეფები ვანის რაიონში

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულებების შესაბამისად რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა რაიონის სამედიცინო სამსახურზე შეფობის საკითხს.

ამას წინათ ამ მიზნით ვანის რაიონს ეწვია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექიმ-სპეციალისტთა ბრიგადა პროფესორების გ. ოდიშვილის, ო. ბურჯანაძის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის გ. რცხილაძისა და საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის ვლ. ხურციძის შემადგენლობით.

შეფებმა დაათვალიერეს რაიონის ცენტრალური საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, ხუთი სასოფლო საავადმყოფო, რაისაავადმყოფოსთან არსებული პოლიკლინიკა და სხვ.

საავადმყოფოებისა და საექიმო პუნქტების შემოვლის დროს კონსულტაცია გაეწია 50-ზე მეტ ავადმყოფს.

გ. დურგლიშვილი.

პეკინის ხელმძღვანელობის ახლანდელი პოლიტიკის ზოგიერთ ტაქტიკურ თავისებურებათა შესახებ

ცხოვრება დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სწორია მარქსისტულ-ლენინური შეფასება, რომელიც მისცეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებას სკკპ XXIV ყრილობამ და მოძმე პარტიების ყრილობებმა, რომ უაღრესად ქმედითია სოციალისტური ქვეყნების აქტიური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებულ მშვიდობის პროგრამას.

საერთაშორისო მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ სოციალისტური ქვეყნებისა და მარქსისტულ-ლენინური პარტიების ერთიანი და შეთანხმებული მოქმედება სულ უფრო ეფექტიანი ხდება, რომ სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციები განუხრელად მტკიცდება. მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების შეკავშირებისა და ურთიერთმოქმედების განმტკიცების გზაზე ახალი დიდი ნაბიჯი იყო სოციალისტური თანამეგობრობის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა მეგობრული შეხვედრა, რომელიც ამას წინათ გაიმართა ყირიმში.

მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობა კვლავ იცვლება სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის სასარგებლოდ.

სოციალიზმის ქვეყნები ახალ წარმატებებს აღწევენ. ამ წარმატებათა საფუძველი ის არის, რომ ჩვენს პოლიტიკას მეცნიერული ხასიათი აქვს, შეესაბამება საზოგადოების განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს. რომ უნარიანად ვიყენებთ სოციალისტური წყობილების უპირატესობებს. რაც უფრო ღრმად და ყოველმხრივ იქნება გამოყენებული ეს უპირატესობანი, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მსოფლიო სოციალიზმის მიღწევები.

იმპერიალიზმი ვერ შეაჩერებს ისტორიულ პროცესს, თუმცა ამ მიზნით იყენებს ყოველგვარ საშუალებებს, კერძოდ, გულმოდგინედ ცდილობს თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს ჩინეთის ხელმძღვანელობის გამთიშველური საქმიანობა და მისი ანტისოციალისტური, ანტისაბჭოური პოლიტიკა.

* * *

უკანასკნელი პერიოდი აღინიშნება რთული პროცესებით ჩინეთის ცხოვრებაში. ჩინეთის ხელმძღვანელობამ გარკვეული კორექტივი შეიტანა თავის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, შეცვალა მისი ფორმები და მეთოდები. და ეს უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მისი წინანდელი პოლიტიკა ჩიხში მოექცა. უეჭველია, რომ მაოისტებზე ძლიერი გავლენა მოახდინეს სსრ კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების უდავო წარმატებებმა, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ძალების სასარგებლოდ საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარმა ცვლილებებმა.

გარკვეულ პირობებში პოლიტიკის კონსტრუქციულ კორექტირებას ჩინელი ხალხისათვის შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა. მაგრამ სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილებანი ჯერჯერობით მიზნად ისახავენ იმას, რომ უფრო ეფექტიანი და რესპექტაბელური გახადონ პეკინის უცვლელი ნაციონალისტური კურსი ჩინეთისა და პროგრესული მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები ცდილობენ რაც შეიძლება მალე შეუქმნან თავიანთ ჰეგემონისტურ პრეტენზიებს შესაბამისი სამხედრო-სამრეწველო ბაზა და ამ ბოლო წლებში სულ უფრო გარკვეულად ამბობენ უარს ყველაზე ოდიოზურ, სახელგატეხილ მაოისტურ დებულებებზე და მიმართავენ ქვეყნის; მისი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ზოგიერთ ფორმასა და მეთოდს, რომლებიც შემოწმებულია სოციალისტური სახელმწიფოების, და თვით ჩინეთის განვითარების გამოცდილებით, პირველი ხუთწლედების წლებში. გასაგები მიზეზებით, რათა დამალოს თავისი გაკოტრება, პეკინის ხელმძღვანელობა იძულებულია ეს ღონისძიებანი შენიღბოს მტკიცებებით „მაოისტური კურსის ურყევობისა" და „მაღალი ეფექტიანობის" შესახებ.

სინამდვილეში კი ყველა დებულება აშკარად იცვლება. მთელი რიგი წლების განმავლობაში ხომ ქვეყანა ცხოვრობდა „იდეებით", რომელთა თანახმად სახალხო მეურნეობის დაგეგმვა „მუხრუჭია ეკონომიკის აღმავლობის გზაზე, „შრომის მიხედვით განაწილება და მატერიალური სტიმულირება — „ეკონომიზმის მთარული სენია", „ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებაა".

მიუხედავად ამისა, კორექტივები, რომლებიც პეკინის ხელმძღვანელობას შეაქვს თავის ეკონომიურ პოლიტიკაში, არათანმიმდევრული, ორჭოფულია უფრო მეტიც, პროცესი ძალიან ძნელად მიმდინარეობს იმ ქაოსისა და არეულობის გამო, რომლებიც „კულტურულმა რევოლუციამ" წარმოშვა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თეორიული აბრუნდების, აგრეთვე იმ ბრძოლის შედეგად, რომელიც მიმდინარეობს სხვადასხვა ტენდენციის წარმომადგენლებს შორის ქვეყნის შემდგომი განვითარების გზების შესახებ. მაგალითად, ჯერ კიდევ 1970 წელს აცხადებდნენ, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე შეიმუშავებდნენ და განიხილავდნენ ახალ ხუთწლიან გეგმას. მაგრამ ახალი ხუთწლედი დღემდე გამოქვეყნებული არ არის, მისი დავალებები უცნობია, სახალხო მეურნეობა კვლავინდებურად უპერსპექტივოდ მოქმედებს.

პეკინის ლიდერთა წინანდელი ეკონომიური პოლიტიკის უეფექტობას მოწმობენ კონკრეტული მონაცემები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. 1971 წელს, 1959 წლის შემდეგ პირველად გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, ფოლადის წარმოებამ შეადგინა 21 მილიონი ტონა, მარცვლეულისამ — 246 მილიონი ტონა. იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ყველა ეს მაჩვენებელი, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ჯერ კიდევ 1960 წელს ჩინეთის მეტალურგიული ქარხნების საწარმოო სიმძლავრეები დაახლოებით 18 მილიონ ტონას შეადგენდა. რაც შეეხება მარცვლეულს, მისი წარმოება, თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის ზრდას, შემცირდა.

ქვეყნის განვითარების მოთხოვნილებანი პეკინს აიძულებენ რამდენადმე შეცვალოს თავისი პოლიტიკა კულტურის დარგშიც. ყველასათვის ნათელია, რომ ქვეყანა ვერ განვითარდება, თუ საერთო აღმავლობას არ განიცდის კულტურა, თუ არა ჰყავს ინტელიგენციის მნიშვნელოვანი რაზმი, კვალიფიციური მუშათა კლასი. ბარბაროსული დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი, კულტურისადმი, რაც დამახასიათებელი იყო „კულტურული რევოლუციისათვის", მცდარად არის გამოცხადებული. ამისათვის ბრალი ედებათ „ულტრამემარცხენე ანარქისტულ ელემენტებს", თუმცა ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ, „კულტურული რევოლუციის" წინ, თვითონ მაო ამბობდა, რომ უნივერსიტეტები და სკოლები — ეს არის „ჭაობი, რომელიც სავსეა გველებით, ქვეწარმავლებითა და ყოველგვარი სხვა უწმინდურებით". ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები ოთხ წელიწადს ფაქტიურად არ მუშაობდნენ, სტუდენტებსა და მოსწავლეებს მაოისტები იყენებდნენ როგორც ბრმა, მორჩილ იარაღს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების დარბევისათვის, წინანდელი პარტიულ-სახელმწიფო აპარატის მრავალრიცხოვანი კადრების ცემა-ტყეპისათვის. ახლა ჩინეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოაგვაროს მეცადინეობა სკოლებში, ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში. მიმდინარეობს სასწავლო პროცესის აღდგენა. შეიმჩნევა კულტურული ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება. ნებადართულია ჩინეთის კლასიკური ლიტერატურის ცალკეულ ნაწარმოებთა გაყიდვა, რომლებსაც წინათ „ფეოდალიზმის სარეველა ბალახს" უწოდებდნენ, გაიხსნა მთელი რიგი მუზეუმები პეკინსა და სხვა ქალაქებში.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ შეიძლება ქვეყანაში კულტურის რაიმე „აყვავებასა" თუ „აღმავლობაზე", როგორც ამას ამტკიცებს ოფიციალური პროპაგანდა. ქვეყანაში არ გამოჩენილა მხატვრული ლიტერატურის არც ერთი ნაწარმოები, ეკრანზე არ გამოსულა არც ერთი ახალი მხატვრული კინოფილმი, ცნობილი „თანამედროვე სანიმუშო ოპერებისა და ბალეტების" ეკრანიზაციის გარდა.

ამ ბოლო ხანს ჩინეთში სიტყვით მაინც აცხადებენ, საჭიროა ამაღლდეს და გაძლიერდეს პარტიის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიო. თუ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ აღნიშნავდნენ არმიის გადამწყვეტ მნიშვნელობას, ახლა პირველ პლანზე დგება ლოზუნგი: „პარტია უნდა მეთაურობდეს შაშხანას". ჯერ კიდევ 1964 წელს მაო ძე-დუნმა გამოაცხადა დებულება: „მთელი ქვეყანა სწავლობს არმიისაგან, მთელი ხალხი — ჯარისკაცებია". ახლა შემოღებულია ახალი ფორმულა: „მთელი ქვეყანა სწავლობს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისაგან, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია სწავლობს მთელი ქვეყნის ხალხისაგან". პრესა მოუწოდებს სამხედროებს, ნუ დააყენებენ თავიანთ თავს პარტკომებზე მაღლა, ისწავლონ ადგილობრივი კადრებისაგან, „გააძლიერონ პარტიული ხელმძღვანელობა".

მაგრამ, ფაქტები მოწმობენ, რომ ამ დებულებათა უმრავლესობას აკლია რეალური შინაარსი. არმია კვლავინდებურად მაოისტური რეჟიმის მთავარი დასაყრდენია, თუმცა პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორეს წამყვან სამხედრო მოღვაწეთა ჯგუფი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ლინ ბიაოს მეთაურობით. არმია კვლავ ინარჩუნებს მტკიცე პოზიციებს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური ხელმძღვანელობის ყველა დონეზე, მათ შორის უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების დონეზე. სამხედროები ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ, მეთაურობენ პროვინციების, ავტონომიური რაიონებისა და ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქების ოც პარტიულ კომიტეტს ოცდაცხრიდან, ხელმძღვანელობენ მეტ წილ მთავარ „რევკომებს".

გამოდის, რომ ამ ეტაპზე მაოისტებს ხელს აძლევთ მხოლოდ ლაპარაკი პარტიის როლის ამაღლების შესახებ. ბევრი მეთვალყურის აზრით, პარტიის შესახებ ატეხილი პროპაგანდისტული ხმაური პეკინს უმთავრესად იმისათვის დასჭირდა, რომ შენიღბოს ჩინეთის ახლანდელი რეჟიმის არსი და ამ გზით, კერძოდ, ხელი შეუწყოს მისი საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას. ამ ბოლო გარემოებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს პეკინის საგარეო პოლიტიკის აქტივიზაციისა და მისი საგარეოპოლიტიკური ტაქტიკის არსებითი ცვლილებების პირობებში.

მაგრამ ამასთან მთავარია — სახელდობრ რომელი პარტიის როლის ამაღლებაზეა ლაპარაკი ახლა? როგორც ცნობილია, ამ პარტიის საქმიანობას განსაზღვრავენ ჩინეთის კომპარტიის IX ყრილობის დებულებები, რომლებიც მტრულია სოციალიზმის საქმისადმი. მის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ანტიმარქსისტული „იდეები მაო ძე-დუნისა", მის წესდებაში აშკარად დასმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა. ამასთან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წინანდებურად პარალიზებულია პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

„კულტურული რევოლუციით" გამოწვეული ქაოსის დაძლევის, საზოგადოების ცხოვრების ნორმალიზაციის საჭიროებამ ჩინეთის ხელმძღვანელობა აიძულა მოეხდინა პარტიული და სახელმწიფო კადრების იმ გარკვეული ნაწილის რეაბილიტაცია, რომლებმაც გაიარეს ეგრეთწოდებული „ხელახლა აღზრდა". რეაბილიტაცია, რა თქმა უნდა, არ ვრცელდება იმათზე, ვინც მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან ილაშქრებდა მაოს შოვინისტური დიდმპყრობელური კურსის წინააღმდეგ.

ჩინეთში და, კერძოდ, ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების უცვლელ განმსაზღვრელ ნიშნად კვლავ რჩება მაოს კულტი. თუმცა მის გამოვლინებებს ახლა აღარა აქვს ისეთი მახინჯი ხასიათი, როგორიც ჰქონდა „კულტურული რევოლუციის" პერიოდში. ქვეყანაში პოლიტიკური განათლება და სწავლება კვლავ მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება „მაო ძე-დუნის იდეების" შესწავლით, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეულ ნაშრომებს კი იყენებენ მხოლოდ ამ „იდეების" „დასადასტურებლად".

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობაზე დღემდე კვლავ დიდ ზემოქმედებას ახდენს 1971 წლის სექტემბრის კრიზისი, როცა გამოვლინდა განხეთქილება მაოისტთა ზედა ფენაში, რამაც გააძლიერა ჩინეთის მოსახლეობაში ახლანდელი რეჟიმის სიმტკიცის მიმართ შიშის განწყობილება. ლინ ბიაოს, რამდენიმე ხნით ადრე კი ჩენ ბო-დას თავიდან მოცილება ამ კრიზისის ზრდის გამოვლინება იყო და ამან დიდი ზიანი მიაყენა მაოისტთა იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებს. პეკინი იძულებული გახდა აეკრძალა ბევრი დოკუმენტი, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში მიაჩნდათ მაო ძე-დუნის „იდეების" ოფიციალურ განმარტებად.

უკანასკნელ ხანს დასავლეთის პრესაში გამოჩნდა პეკინის მიერ აშკარად ინსპირირებული ცნობები „ლინ ბიაოს საქმის" შესახებ, რომელთა მიზანია დაამახინჯონ სექტემბრის კრიზისის მიზეზები და მოუხსნან მაო ძე-დუნს პასუხისმგებლობა, ჯერ ერთი, ერთ დროს მისთვის სასიამოვნო ადამიანთა განდიდებისათვის და, მეორეც, ხელმძღვანელ მოღვაწეთა მთელი ჯგუფის, მათ შორის ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ წევრთა მოშორებისათვის, შესაძლოა, ფიზიკური მოსპობისთვისაც.

მიუხედავად ჩინეთის პროპაგანდის ყოველგვარი განცხადებებისა „ერთიანობისა და შეკავშირების" შესახებ, პეკინის ხელმძღვანელობაში, ეტყობა, არ წყდება ბრძოლა სხვადასხვა ტენდენციის წარმომადგენელთა შორის. თუმცა სექტემბრის კრიზისის შემდეგ

მსოფლიო დღეს

ანჯელა დევისის პრეს-კონფერენცია

ლენინგრადი, 6 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც თვალსაჩინო ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ანჯელა დევისმა უპასუხა ლენინგრადელ ჟურნალისტთა კითხვებზე.

მან დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი ლენინგრადის შესახებ და თქვა:

— ის, ვინც კომუნისტია, ლენინგრადში ჩამოსვლისას, უწინარეს ყოვლისა ეცნობა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებს. სმოლნი, სადაც გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, ოთახი, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ლენინი, ყარავი რაზლივში, სადაც იგი იმალებოდა... ჩვენ დავათვალიერეთ ეს ადგილები. ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს გავხდით იმ ისტორიული მოვლენების მონაწილენი, რომლებიც დაკავშირებულია ლენინის სახელთან.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ეკონომიური მიღწევები, რომლებიც მოიპოვეს ლენინგრადელებმა.

ანჯელა დევისმა თქვა, რომ დიდხანს ეხსომება მიტინგი, რომელიც გაიმართა კიროვის ქარხანაში, ის უდიდესი ენთუზიაზმი, რომლითაც კიროველები შეხვდნენ ამერიკელ კომუნისტებს. მუშებთან საუბრების დროს, მისი თქმით, იგი გრძნობდა, თუ რა მაღალია საბჭოთა მუშების პოლიტიკური შეგნების დონე.

ანჯელა დევისმა აღნიშნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი მიღწევები საბჭოეთში და განაცხადა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ერთსულოვანი ოჯახის მიერ შეძენილი გამოცდილება შეიძლება კარგი მაგალითი იყოს სხვა ხალხებისათვის.

ნაყოფიერი თანამშრომლობა

ლაიფციგი, 6 სექტემბერი. (საკდესის კორ.). სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით არის აღნიშნული საბჭოთა პავილიონის ზოგიერთი ექსპონატი ლაიფციგის ბაზრობაზე. ასეთ აღნიშვნებს ნახავთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საფეიქრო მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის პავილიონებშიც. ეს არის პროდუქცია, რომელიც შექმნილია ორი მოძმე ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობის, მეცნიერულ-ტექნიკური კოოპერირებისა და სპეციალიზაციის საფუძველზე.

სსრ კავშირის პავილიონში სინთეზური კაუჩუკის წარმოებისადმი მიძღვნილ სტენდზე წარმოდგენილია ავტომობილის საბურავების მთელი ოჯახი. ბევრი მათგანი, მათ შორის „ვოლგის" სალტეები, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობის ნაყოფია.

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტთა ურთიერთობა პრაქტიკულად დაიწყო 1951 წელს, როცა ორივე ქვეყანას შორის დაიდო შეთანხმება მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

კომპლექსური პრობლემების შემუშავებაში თანამშრომლობა ორივე ქვეყანას საშუალებას აძლევს გააერთიანონ სპეციალისტთა ღონისძიებანი მეცნიერული კვლევის მოწყობის, დაპროექტებისა და კონსტრუირების დროს. უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე თანამშრომლობა ხორციელდება სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნების სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების კოორდინაციას, რომელსაც აწყობენ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგეგმო ორგანოები ოთხმოცამდე სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციის მონაწილეობით. ამ მუშაობის პროცესში აყენებენ წინადადებებს მთელი რიგი სახალხო-სამეურნეო პრობლემებისა და კავშირის, კერძოდ სამრეწველო წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარების ერთად გადაწყვეტისათვის.

კონგრესმა მუშაობა განაახლა

ვაშინგტონი. 6 სექტემბერი. (საკდესი). ორ კვირაზე მეტი ხნის შესვენების შემდეგ მუშაობა განაახლა ამერიკის კონგრესმა. ეს შესვენება დაკავშირებული იყო მაიამი-ბიჩში რესპუბლიკური პარტიის ყრილობასთან დაკავშირებით.

კონგრესის დღის წესრიგში მდგომ საკითხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი შეთანხმების განხილვა სენატში. როგორც ცნობილია, კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ 329 ხმით 7 ხმის წინააღმდეგ უკვე მოიწონა ეს შეთანხმება.

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების განხილვა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა კონგრესის მუშაობაში ორ პარტიულ ყრილობას შორის პერიოდში. ამერიკელ კონგრესმენთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამ შეთანხმებებს. მათ ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის საქმისათვის სსრ კავშირსა და ამერიკის მთავრობებს შორის მიღწეულ შეთანხმებებს. სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა და მთელმა რიგმა სხვა კონგრესმენებმა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებანი დაახასიათეს როგორც „მნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში".

მანამდე სენატმა ხმის დიდი უმრავლესობით დაამტკიცა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის ხელშეკრულება.

კონგრესის განახლებულ სესიაზე მოელიან მწვავე კამათს ვიეტნამში ამერიკის აგრესიის განგრძობის საკითხზე, აგრეთვე როცა განიხილავენ კანონპროექტებს უცხოეთის დახმარებისა და თავდაცვისათვის ხარჯების კანონპროექტებს.

დააკავეს

ამერიკის პოლიციის ხელში მოხვდა ცნობილი დამნაშავე, ვინმე აუგუსტო ჯოზეფ რიკარდი. რიკარდი ცნობილია როგორც ნარკოტიკების ერთ-ერთი უდიდესი ვაჭარი. მარტო 1970 წელს მისმა ორგანიზაციამ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიტანა 27,8 მილიონი დოლარის ჰეროინი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რიკარდის საფრანგეთის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, როგორც გესტაპოს აგენტს. მთელი ამ წლების განმავლობაში იგი ლათინურ ამერიკაში იმალებოდა.

ხანძრებს ბოლო არ უჩანს

ჩრდილოეთ კალიფორნიაში გრძელდება კატასტროფული ტყის ხანძრები.

ამერიკის პრესა შეშფოთებით იუწყება, რომ მიუხედავად ადგილობრივ ხელისუფალთა დიდი მეცადინეობისა, რომლებმაც ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლაში ათასობით მეხანძრე გამოიყვანეს და დიდძალი სპეციალური ტექნიკა გამოიყენეს, ჯერჯერობით მხოლოდ „ნაწილობრივ აქრობენ" ხანძრებს. მაგრამ მარტო გუშინ „მშრალმა" ჭექა-ქუხილმა გამოიწვია 168 ახალი ხანძარი.

ხელისუფალთა მონაცემებით კალიფორნიაში ახლა ტყის ხანძრის 300-ზე მეტი კერაა.

ნატოს პოლიგონი

თვრამეტი წლის იტალიელი მებადური მალფრედი კატალანო მიიყვანეს ქალაქ ორისტანოს (სარდინიის კუნძული) ერთ-ერთ საავადმყოფოში. მას ფეხები ტყვიებით ჰქონდა დაცხრილული. ნატოს ერთ-ერთი თვითმფრინავის დასავლეთგერმანელ პილოტს შეცდომით მისი ნავი სასწავლო ხამიზნე ეგონებია და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშენია.

ეს შემთხვევა ერთადერთი როდია.

სამხედრო ბაზებით დაჭედილი კუნძულის მოსახლეობას მუდმივი შიში უნდა ჰქონდეს ასეთი „შეცდომებისა". სარდინია, როგორც ეს არაერთხელ დაუწერიათ იტალიის გაზეთებს, დიდი ხანია ნატოს პოლიგონად გადაიქცა.

109 წლის ქალი

როგორც ოფიციალური მონაცემები მოწმობენ, იაპონიაში ახლა 405 კაცია 100 წელზე მეტი ხნისა.

109-ჯერ აღნიშნეს დაბადების დღეები მიტო უმედამ — კუმამოტოს პრეფექტურის მცხოვრებმა ქალმა, და სიგას პრეფექტურის მცხოვრებმა ნივა კავამოტომ.

ავსტრალიის მოსახლეობა

გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ავსტრალიის მოსახლეობის რიცხვმა 1972 წლის მარტში შეადგინა 12.943.000 კაცი.

გასულ ნახევარ წელიწადში ავსტრალიის მოსახლეობამ მატებისა და ქვეყანაში იმიგრაციის შედეგად პირველად გადაამეტა 13 მილიონ კაცს.

კ. ვალდჰაიმის განცხადება

ნიუ-იორკი. 6 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კურტ ვალდჰაიმმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტის მორიგ სხდომაზე წარმოთქვა სიტყვა.

მან აღნიშნა, თუ რა უდიდესი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირს მშვიდობიანი მიზნით კოსმოსის შესწავლის საქმეში.

კ. ვალდჰაიმმა ხაზი გაუსვა, რომ მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი კოსმოსში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში. „საერთაშორისო საზოგადოებრიობა მიესალმა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებებს ერთობლივი კოსმოსური პროგრამების განხორციელების გზით თანამშრომლობის გაფართოების შესახებ, კერძოდ, ამასწინანდელ შეთანხმებას ამერიკული და საბჭოთა კოსმოსური ხომალდებისა და სადგურების შეპირაპირების შესახებ", — განაცხადა კ. ვალდჰაიმმა.

ბრძოლები ინდოჩინეთში

ნიუ-იორკი. 6 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ძალებსა და საიგონის ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს უშუალოდ საიგონის მახლობლად. დღეს პატრიოტებმა იერიში მიიტანეს მარიონეტული არმიის პოზიციებზე სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქის ჩრდილოეთით 35 კილომეტრზე.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტო იუწყება, გუშინ ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ საიგონის ჯარები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ლემინის ბაზა ქალაქ პლეიკუს დასავლეთით ცენტრალურ პლატოზე. განთავისუფლების ძალები განაგრძობენ შეტევას ამ რაიონში მოწინააღმდეგის სხვა გამაგრებულ პუნქტებზე.

ჰანოი, 6 სექტემბერი. (საკდესი). ახალ დანაშაულს სჩადის ამერიკის მხედრიონი სამხრეთ ვიეტნამის მიწა-წყალზე. როგორც განთავისუფლების პრესის სააგენტო იუწყება, 19 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავებმა მომწამვლელი ნივთიერებანი მოაფრქვიეს კუტის რაიონს საიგონის მახლობლად. ამის შედეგად დაზიანდა ბაღები და ბრინჯის ყანები, გაწყდა დიდძალი პირუტყვი, ამ რაიონის სოფლების ბევრი მცხოვრები მოიწამლა.

ჩანგბანგის მეზობელ რაიონში 15 და 17 აგვისტოს ამერიკის თვითმფრინავებმა ნაპალმისა და ნამსხვრევიანი ბომბების გამოყენებით დაბომბეს თხანამის თემი. დაიღუპა ბევრი მშვიდობიანი მოსახლეობა.

როგორც განთავისუფლების პრესის სააგენტო იუწყება, კუანგნამის პროვინციაში ბრინჯის ყანების გასანადგურებლად მოწინააღმდეგე იყენებს სოფლის მეურნეობის მავნებლებს.

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. (საკდესი). კამბოჯელი პატრიოტები აძლიერებენ ზემოქმედებას პნომპენის ჯარებზე ქვეყნის დედაქალაქის დასავლეთით № 5 სტრატეგიულ გზატკეცილზე. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, პნომპენის არმიის გუშინდელი მორიგი ცდა პატრიოტები განედევნა ამ უმნიშვნელოვანესი მაგისტრალიდან, მარცხით დამთავრდა.

პრეზიდენტის გამოსვლა

სანტიაგო. 6 სექტემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა პრეზიდენტის არჩევნებში სახალხო ერთიანობის კოალიციის გამარჯვების მეორე წლისთავს. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ.

შეეხო რა ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, მან განაცხადა, რომ „სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა პროცესი, რომელიც ჩილეში დაიწყო სახალხო მთავრობის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ, „შეუქცევადია". „დიდად სცდებიან ისინი, ვინც სხვანაირად ფიქრობენ და ცდილობენ დაარღვიონ ქვეყნის კონსტიტუციური წყობილება".

ს. ალიენდემ აღნიშნა, რომ ჩილელ მშრომელთა მასობრივმა მანიფესტაციებმა, რომლებიც 4 სექტემბერს გაიმართა მთელ ქვეყანაში, დამაჯერებლად დაადასტურეს, რომ ჩილელი ხალხი მხარს უჭერს მთავრობას. ამასთანავე მათ სერიოზულად გააფრთხილეს რეაქცია.

კამბოჯის პატრიოტები აძლიერებენ შეტევას პნომპენის რეჟიმის ჯარების წინააღმდეგ და სერიოზულ ზარალს აყენებენ მტერს ნეაკლუონგის რაიონში.

სურათზე: კამბოჯელ პატრიოტთა რაზმი მორიგი დავალების მიღებისას.

ვია-საკდესის ფოტო.

სდუმან იტალიის რკინიგზები

რომი, 6 სექტემბერი. (საკდესი). რკინიგზელთა 24 საათის საერთო-ეროვნული გაფიცვის შედეგად მთლიანად შეწყდა მიმოსვლა ქვეყნის ყველა სადგურში და რკინიგზაზე.

შეჩერდა შორეული მიმოსვლის მატარებლები და საგარეუბნო ელექტრომატარებლები, დაიხურა საბილეთო სალაროები ყველა ვაგზალში, უმოქმედოდაა რკინიგზის საბორნო გადასასვლელები, რომლებითაც აპენინის ნახევარკუნძული სიცილიისა და სარდინიის კუნძულებს უკავშირდება.

გაფიცვაში პროფკავშირთა მოწოდებით მონაწილეობს 200 ათასზე მეტი რკინიგზელი. ისინი იბრძვიან ახალი შრომითი ხელშეკრულების დადების შესახებ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, რომელიც გაითვალისწინებს შრომის პირობებისა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა ცხოვრების გაუმჯობესებას.

ვითარება კვლავ გამწვავდა

ლონდონი. 6 სექტემბერი. (საკდესი). ვითარება ბელფასტში კვლავ გამწვავდა. ქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ პროტესტანტ ექსტრემისტთა ბანდები, რომლებიც მოითხოვენ ჩაგრული კათოლიკური მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებას.

მათი აზრით, არმია და პოლიცია საკმარისი სიმკაცრით არ მოქმედებს. ექსტრემისტთა ერთ-ერთი ასეთი ბანდა, რომელშიც რამდენიმე ათეული კაცი იყო, თავს დაესხა პოლიციის უბანს.

პროტესტანტი ულტრების საქმიანობას უკავშირებენ აგრეთვე ბომბების უკანასკნელ აფეთქებებს, რომლებიც ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქებში მოხდა. ბელფასტში ბომბი აფეთქდა ბარში, სადაც ჩვეულებრივი კათოლიკები დადიან. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

დღეს დილით ბომბი აფეთქდა პორტადაუნში, დაიღუპა ერთი ადგილობრივი მცხოვრები.

მოსკოვის მაგალითით

ლონდონი. 6 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონში გამოაცხადეს, რომ ოთხ საქალაქო სატრანსპორტო მარშრუტზე მიმოსვლას იწყებენ მიკროავტობუსები, რომლებიც 16 მგზავრს იტევენ.

დიდი ლონდონის საბჭოს თავმჯდომარემ დესმონდ პლამერმა, რომელიც შარშან საბჭოთა კავშირში იყო, განაცხადა, ინგლისის დედაქალაქის ქუჩებში მიკროავტობუსების გამოჩენას მოსკოვის მაგალითს უნდა ვუმადლოდეთო, სადაც სამარშრუტო ტაქსები დიდად გავრცელდა და დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

სტუმრად ქართველ მეჩაიეებთან

მახარაძე, 6 სექტემბერი. (საქინფორმის სპეც. კორ.). განაგრძობს რა საქართველოს გაცნობას, შრი ლანკის რესპუბლიკის ეროვნული სახელმწიფო ასამბლეის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ასამბლეის სპიკერი სტენლი ტილეკარატნე, მახარაძეში ჩამოვიდა. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა შრი ლანკის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. დ. ს. სირივარდანე.

სტუმრებს დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე დ. დიასამიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. თოიძე, რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დელეგაციის წევრები ანასეულში ეწვივნენ საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს. ამ სამეცნიერო დაწესებულებათა დირექტორებმა ვ. ჯაყელმა და ა. კეჭაყმაძემ საზღვარგარეთელ პარლამენტარებს მოუთხრეს იმ დახმარების შესახებ, რომელსაც მეცნიერნი უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩაის მოყვანის აგროტექნიკის სრულყოფაში, ჩაის ნედლეულის გადამუშავების პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური სქემების შექმნაში.

ანასეულის ინსტიტუტების ფილიალებში წარმოებს ნაყოფიერი მუშაობა ახალი ყინვამედეგი ჯიშების ჩაის ჰიბრიდიზაციისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა ეს კულტურა გაავრცელონ ქვეყნის ჩრდილოეთში. სტუმართა დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობამ ჩაის სასელექციო ჯიშების შესახებ, რომლებიც გამოიყვანა სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა ქ. ბახტაძემ.

შრი ლანკის რესპუბლიკის წარმომადგენლები იყვნენ აგრეთვე სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობაში. აქ მათ ნახეს, თუ როგორ მუშაობს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო". ახსნა-განმარტებებს იძლეოდა ამ უნიკალური მანქანის ერთ-ერთი შემქმნელი, სოციალისტური შრომის გმირი ლენინური პრემიის ლაურეატი შ. კერესელიძე.

იმავე დღეს დელეგაცია გაემგზავრა აჭარაში.

* * *

ბათუმი. 6 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). აქ ჩამოსული შრი ლანკის რესპუბლიკის ეროვნული სახელმწიფო ასამბლეის დელეგაცია გაეცნო ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაობას.

დელეგაცია ესაუბრა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დ. დიასამიძეს.

იმავე დღეს საღამოს შრი ლანკის პარლამენტარები გაფრინდნენ მოსკოვს. დელეგაციასთან ერთად წავიდა ამ ქვეყნის ელჩი სსრ კავშირში კ. დ. ს. სირივარდანე.

გეგმავენ შეიარაღებულ აქციებს

კამპალა. 6 სექტემბერი. (საკდესი). უგანდის პრეზიდენტმა იდი ამინმა შიში გამოთქვა, რომ იმპერიალისტები შეიძლება ჩაერიონ ქვეყნის საშინაო საქმეებში.

როგორც რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სხდომაზე განაცხადა, მას აქვს ცნობები, რომ ინგლისი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან უგანდის მთავრობის პოლიტიკით, გეგმავენ შეიარაღებულ აქციებს უგანდის წინააღმდეგ.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უგანდელი ხალხი და უგანდის შეიარაღებული ძალები მზად არიან საკადრისი პასუხი გასცენ საერთაშორისო იმპერიალიზმის ყოველგვარ გამოხდომას.

ანგარიშს უსწორებენ

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. (საკდესი). ქალაქ ჰარისბერგის (პენსილვანიის შტატი) სასამართლომ 8 წლის პატიმრობა მიუსაჯა ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ცნობილ მებრძოლს მღვდელ ფილიპ ბერიგანს. ფ. ბერიგანს ბრალად ედება საპატიმროდან წერილების „უკანონოდ გადაცემა". იგი დაპატიმრებული იყო ომის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის.

ამერიკის რეაქცია ანგარიშს უსწორებს მშვიდობისათვის ცნობილ მებრძოლს. ბერიგანისა და მისი ექვსი თანამებრძოლის წინააღმდეგ შეაკოწიწეს ახალი „საქმე". მათ ბრალად დასდეს „შეთქმულება" პრეზიდენტის სპეციალურ თანაშემწის ჰ. კისინჯერის „მოტაცების მიზნით", აგრეთვე ის, რომ ცდილობდნენ „ვაშინგტონში მთავრობის მთელი რიგი შენობების გასათბობი სისტემის აფეთქებას".

ამ უაზრო ბრალდებაზე აგებული სასამართლო პროცესი ჩაიფუშა. ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ არ ცნო განსასჯელნი დამნაშავეებად. ერთადერთი, რაც გამოძიებამ მოახერხა, ის იყო, რომ ბერიგანი „ამხილა" წერილების უნებართვოდ გადაცემაში. როგორც ამერიკის პრესა წერს ძნელი გასახსენებელია შემთხვევა, რომ ვინმესთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთოდ დაედოთ მსჯავრი ამგვარი ბრალდების გამო.

ამბები

● **ვაშინგტონში გაიხსნა** სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ქვეკომისიის კონფერენცია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კანონპროექტი ჰაერში თვითმფრინავების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ ღონისძიებათა შესახებ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ 17 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაციები.

● **ეკვატორული გვინეის** რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოთა დონეზე.

● **ლიბანის ხელისუფლებმა** გადაწყვიტეს გაასახლონ ამ ქვეყნიდან ამერიკის იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტი რეიმონდ უილკინსონი. მას ბრალად დასდეს ინფორმაციის გადაცემა, რომელიც „ზიანს აყენებს ლიბანის უშიშროებას".

● **მეთორმეტე კვირაა** გრძელდება ორი ათასი ავტომობილმშენებლის გაფიცვა კოვენტრიში (ინგლისი). მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას ქვეყანაში ფასების სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით.

● **ავსტრალიელმა სტუდენტებმა** ქვა და დამპალი პამიდორი დაუშინეს სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის ელჩის მანქანას. ელჩი მიემგზავრებოდა ქალაქ პერტის უნივერსიტეტში სიტყვის წარმოსათქმელად. ეს აქცია სტუდენტებმა განახორციელეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის რასისტული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ფაქტები

უკვე თითქმის წელიწადი გავიდა, მაგრამ მაოისტები მაინც განაგრძობენ განგაშს „ლიუ შაო-ცის ტიპის ყალთაბანდთა ხრიკების" გამო, გაჰყვირიან „გააფთრებული ბრძოლის" შესახებ, აშინებენ იმათ, ვინც მოინდომებს თუნდაც ოდნავ საეჭვო გახადოს იმ კურსის გონივრულობა, რომელსაც ჩინეთში ადგანან. საგულისხმოა, რომ მაოისტები ყოველნაირად ცდილობენ ეს გარემოებანი მიაწერონ საბჭოთა კავშირის „ხრიკებს".

ამავე დროს არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მათმა ანტისაბჭოურობამ უკვე ისე მოაბეზრა თავი ჩინეთის მოსახლეობას, რომ ოფიციალური მაოისტური პროპაგანდა იძულებული ხდება მიმართოს სულ უფრო და უფრო ბრიყვულ მონაჩმახს, ყოველგვარ „დიდ სიცრუეს", მოიგონოს ჭორები, რათა კვლავაც გააღვივოს ანტისაბჭოური განწყობილებანი.

* * *

საგარეო პოლიტიკა, როგორც ცნობილია, საშინაო პოლიტიკის განგრძობა და გამოხატულებაა. მანევრები, რომლებსაც პეკინელი ლიდერები მიმართავენ ქვეყნის შიგნით, კიდევ უფრო აშკარად ახასიათებს მათს მოქმედებას ამჟამად საერთაშორისო ასპარეზზე.

იცვლება ჩინეთის ხელმძღვანელთა აქცენტები მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებისადმი მიდგომაში, რომელსაც ისინი წინათ უწოდებდნენ „იმპერიალიზმისათვის ხელშეწყობას". თუ სულ ცოტა ხნის წინათ პეკინი ყოველნაირად აძაგებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ახლა მისი წარმომადგენლები მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში. სამოციან წლებში ჯოუ ენ-ლაი, აფრიკისა და აზიის ქვეყნებს რომ ეწვია, ყველგან მოუწოდებდა, მოახდინეთ რევოლუციებიო, ირწმუნებოდა, რომ იქ ყველგან შექმნილი იყო „ბრწყინვალე რევოლუციური სიტუაცია". ახლა კი პეკინი ახორციელებს ღონისძიებებს, რათა მოაგვაროს ურთიერთობა ყველაზე რეაქციულ რეჟიმებთან სხვადასხვა კონტინენტზე. საგულისხმოა, რომ მიმდინარე წელს ჩინეთში გამოქვეყნებულ საპირველმაისო ლოზუნგებში საერთოდ არ იყო მოწოდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდასაჭერად. ერთი წლის წინათ ოფიციალური ჩინური პროპაგანდა უარყოფდა ყოველგვარ „მოლაპარაკებას იმპერიალისტებთან", ახლა კი ბევრი რამ კეთდება ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან დასაახლოებლად.

როგორც ფაქტები მოწმობენ, მთელი მაოისტური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უწინდებურად არის ბრძოლა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ქვეყნებისა, რომლებიც პეკინში მიაჩნიათ ძირითად დაბრკოლებად თავიანთი ჰეგემონისტური, დიდმპყრობელურ-შოვინისტური მისწრაფებების განხორციელების გზაზე. მთელ თავიანთ ღონისძიებებს ახმარენ ახალ ცდებს, რომ სახელი გაუტეხონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ საშინაო და საგარეოპოლიტიკურ კურსს. „თეორიული ბაზა" რომ შეუქმნან საბჭოთა კავშირისადმი მტრულ თავიანთ კურსს, მაოისტებმა შჩედრინის ცნობილი „გმირის" მსგავსად, რომელმაც მოისურვა „დახურა ამერიკა", „დახურეს" სსრ კავშირი, როგორც სოციალისტური ქვეყანა. პეკინის პროპაგანდა ყოველნაირად ესწრაფვის „სოციალ-იმპერიალიზმის" იარლიყი მიაკრას მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს და ამ ბინძური ფანდის საშუალებით განახორციელოს თავისი უღირსი ანტისაბჭოური თავდასხმები. 1972 წლის პირველ ნახევარში მარტო პეკინის ორ ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნდა რამდენიმე ასეული მასალა, რომლებშიც ცილს სწამებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს. პეკინისა და სხვა ქალაქების წიგნის ბაზარზე მუდამ იყიდება უამრავი ანტისაბჭოური წიგნი და ბროშურა. წლეულს გამოცემული „მსოფლიოს ატლასიც" კი მაოისტებმა უხეში ანტისაბჭოური მონაჩმახით აავსეს. ფართო ანტისაბჭოური პროპაგანდა წარმოებს რადიომაუწყებლობისა და სხვადასხვა ზეპირი ფორმების საშუალებით, რომლებიც ჩინეთის მოსახლეობისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ.

„ორი ზესახელმწიფოს ჰეგემონიის" პროვოკაციულ სინამდვილესთან სრულიად შეუთავსებელი თეზისის განუწყვეტელი პროპაგანდა მთლიანად ემორჩილება პეკინის იმ მიზანს, რომ მსოფლიოში კანონზომიერად არსებული უნდობლობა ამერიკის იმპერიალიზმისადმი გაავრცელოს საბჭოთა კავშირზეც, შეასუსტოს სოციალიზმის მიმზიდველი ძალა განვითარებად ქვეყნებში.

პეკინმა შეცვალა ტაქტიკური ხერხები „მესამე სამყაროს" ქვეყნების მიმართაც. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსვლის შემდეგ ჩინეთის ხელმძღვანელობა დაჟინებით აცხადებს, ჩინეთი განვითარებად სახელმწიფოებს ეკუთვნისო, და ცდილობს შეასრულოს აფრიკა-აზიის ხალხთა მეგობრისა და მათი ინტერესების დამცველის როლი. ცდილობენ რა ძირი გამოუთხარონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტს და წარმოშვან განვითარებად ქვეყნებში უნდობლობა და წინაზრახვა ჩვენი ქვეყნისადმი, მაოისტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი ორგანიზაციების ტრიბუნიდან გაორკეცებული მონდომებით ავრცელებენ ცილისწამებას სსრ კავშირის შესახებ და ამით აშორებენ განვითარებადი ქვეყნების ხალხების ყურადღებას თავიანთი დაუძინებელი მტრების, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ცხადია, რომ ასეთი ხაზი უწინარეს ყოვლისა მიმართულია თვით განვითარებად სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგ.

პეკინის დიდმპყრობელური მიდგომა „მესამე სამყაროს" ქვეყნებისადმი სავსებით თვალნათლივ გამოვლინდა იმ დამოკიდებულებით, რომელიც მან გამოიჩინა აღმოსავლეთ-ბენგალიელი ხალხის უფლებებისათვის ბრძოლისადმი, როცა პეკინმა ვეტო დაადო ბანგლადეშის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ. ამით მაოისტებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, თუ რა ფასი აქვს მათს გაუთავებელ დაპირებებს, „პატარა და საშუალო ქვეყნების ინტერესებს ვიცავთო".

პეკინელი ლიდერები ჯერ კიდევ იმედოვნებენ შეაკოწიწონ ანტისაბჭოური ბლოკი პატარა და საშუალო სახელმწიფოებისაგან, მათ შორის კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან რათა გამოიყენონ ისინი თავიანთი დიდმპყრობელური კურსის განსახორციელებლად. მაოისტური პროპაგანდა იმედოვნებს ამ საფუძველზე დაამკვიდროს პეკინი მსოფლიო პოლიტიკურ ცენტრად, და გაძლიერებით ამტკიცებს, რომ „ორი ზესახელმწიფოს მზე ჩადის", ხოლო მათი ადგილი, როგორც აღნიშნავენ ჟურნალ „ხუნცში" მიმდინარე წლის აპრილ-ივნისში გამოქვეყნებულ მთელ რიგ სტატიებში, ჩინეთმა უნდა დაიკავოს.

პეკინის ხელმძღვანელობა ცდილობს გაავრცელოს თავისი გავლენა და განიმტკიცოს საერთაშორისო პოზიციები კაპიტალისტური სისტემის ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოების გზით. ჩინელი ლიდერები ფაქტიურად არ მალავენ, რომ სამხედრო-სამრეწველო, მათ შორის რაკეტულ-ატომური პოტენციალის დაჩქარებული ზრდის მიზნით ისინი აპირებენ შეიძინონ სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური გამოცდილება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, აგრეთვე იაპონიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან.

წინანდელზე უფრო დახვეწილი ფანდების მეოხებით ჩინეთის ხელმძღვანელობა განაგრძობს გამთიშველ საქმიანობას სოციალისტურ თანამეგობრობაში. იგი ცდილობს განხეთქილება შეიტანოს სოციალიზმის ქვეყნების ურთიერთობაში — დაუპირისპიროს ისინი ერთმანეთს. ისევე როგორც კულტურული რევოლუციის პერიოდში, უარყოფენ თვით მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობას. მოძმე ხალხთა შეკავშირების იდეის საწინააღმდეგოდ აყენებენ განცალკევებულ რეგიონალურ დაჯგუფებათა შექმნის იდეას, რომლებშიც მაოისტებს სურთ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავონ.

ერთი სახელმწიფოს მეორესთან წაკიდების საერთო ხაზს რომ ადგას, პეკინი სიტყვით მოითხოვს დაძაბულობის შენელებას, საქმით კი ესწრაფვის შეინარჩუნოს და გააძლიეროს დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში. მაგალითად, პრესის ცნობების თანახმად, ამერიკელ კონგრესმენებს, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერს ესაუბრნენ, შემდეგნაირად ჩამოუყალიბეს პეკინის თვალსაზრისი: შეერთებულმა შტატებმა ფართო მასშტაბით უნდა განაგრძონ ატომური იარაღის შემუშავება და წარმოება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოსკოვს ჩამორჩნენო, ძნელია მოვიყვანოთ სოციალიზმის საქმისადმი უფრო აშკარა ღალატის სხვა მაგალითი...

ახლა მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეებად რომ მოაქვთ თავი, პეკინელი ლიდერები ძალღონეს არ იშურებენ, რათა დააბრკოლონ სოციალისტურ სახელმწიფოთა ყველა წინადადება, რომლებიც მიზნად ისახავენ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას ევროპაში, აზიასა და მთელ მსოფლიოში. ისინი უარს ამბობენ შეთანხმებულ პოლიტიკაზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, უარყოფენ წინადადებებს ერთობლივ ღონისძიებათა, ერთიანი მოქმედების შესახებ ამ მიმართულებით. როგორც ამას წინათ განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ლიდერებმა, რომლებიც ესაუბრნენ ჩინეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას „არა სურს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წავიდნენ წყნარი ოკეანის რაიონიდან" ან მსოფლიოს რომელიმე სხვა რაიონიდან. პეკინი თავს იკავებს გააკრიტიკოს ისეთი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციები, როგორიც არის ნატო, სეატო, ანზიუსი და აზპაკი.

უკანასკნელ ხანს მაოისტები ცდილობენ შეაფერხონ ევროპაში დაძაბულობის შენელების პროცესი, ხელი შეუშალონ უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას. ამავე დროს ისინი მხარს უჭერენ აქ ამერიკის ჯარების დატოვებას. თავიანთ მოქმედებას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ ისინი ნიღბავენ მითქმა-მოთქმით იმის შესახებ, რომ ევროპის უშიშროების სისტემის შექმნა თითქოს გამოყენებული იქნება ჩინეთის საზიანოდ. სინამდვილეში ახლა პეკინში დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ ქვეყნების ყველაზე რეაქციული ანტისაბჭოთა იმპერიალისტური წრეები, მიაჩნიათ ჩინეთის მაოისტური ხელმძღვანელობის თავისებურ მოკავშირეებად სოციალისტური თანამეგობრობის საერთაშორისო გავლენის ზრდის წინააღმდეგ ბრძოლაში და აზიასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში თავიანთი ჰეგემონისტური პოლიტიკის განხორციელებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მარცხი განიცადა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაზე თავის ფრონტალური შეტევის დროს და მაინც ცდილობს გათიშოს ეს მოძრაობა, გადაიბიროს თავის მხარეზე მისი ცალკეული რაზმები, ჩინეთის ხელმძღვანელობამ სახე უცვალა თავის ტაქტიკას და უფრო მეტ მოქნილობას იჩენს. პეკინელმა ლიდერებმა შეანელეს ყველაზე ოდიოზური მაოისტური თეზისების პროპაგანდა, ცდილობენ შენიღბონ მაოიზმი მარქსიზმით, შეწყვიტეს აშკარა თავდასხმები ბევრ პარტიაზე.

მაოისტები ახლა ესწრაფვიან დაასაბუთონ, თითქოს მათი უთანხმოებანი საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასთან ერთი მხრივ, მარქსისტულ-ლენინური პარტიების მიერ შემუშავებულ ხაზსა და, მეორე მხრივ, პეკინის ანტისოციალისტურ პლატფორმას შორის პრინციპული განსხვავება კი არ არის, არამედ მხოლოდ „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის დავაა". მაოისტები კვლავ ცდილობენ შეაკოწიწონ ანტისაბჭოური პროპეკინური ბლოკი ზოგიერთი პარტიისა და ჯგუფისაგან, და გარდამავალ ეტაპად სურთ, რომ მეტმა წილმა კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა დაიკავონ თუნდაც ნეიტრალიტეტის პოზიცია მაოიზმის მიმართ. ამ მიზნებს ემორჩილება მაოისტთა ცდები, რომლებიც იქითკენ არის მიმართული, რომ იქ, სადაც შესაძლებლად მიაჩნიათ, გააღვივონ ნაციონალისტური განწყობილებანი ამა თუ იმ კომუნისტურ პარტიაში, გამოიყენონ ისინი კომუნიზმის რაღაც „ეროვნული ფორმებისადმი" კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით მარქსიზმის გამოყენების საბაბად. სწორედ აქ, მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების უარყოფის გზებზე, მაოიზმი ეთანხმება ყველა ჯურის ოპორტუნისტულ მიმდინარეობებს.

თანამედროვე ეტაპზე ჩინეთის ხელმძღვანელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ, მიმართავს რა რთულ მანევრირებას და შეაქვს პრაგმატისტული კორექტივები ტაქტიკაში, იგი არ ცვლის თავის ძირითად კურსს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერები თავიანთი მოქმედებით უწინდებურად უდიდეს ზიანს აყენებენ სოციალისტურ თანამეგობრობას, მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას. ჩინეთის ხელმძღვანელთა უფრო გაწაფული და არსებითად უფრო მზაკვრული ტაქტიკა საერთაშორისო ასპარეზზე არათუ არ ამცირებს ნამდვილი სოციალისტური, ინტერნაციონალისტური პოზიციებისაგან მათი განდგომის ნეგატიურ შედეგებს, არამედ წინანდელივით საშიშს ხდის პეკინის პოლიტიკას. ამიტომ ბრძოლა მაოისტთა პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ მსოფლიო კომუნისტური და განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებთან, სოციალიზმის მშენებლობის, მსოფლიო განვითარების, რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირითად საკითხებზე მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპულ დებულებებთან მისი მიზნების შეუთავსებლობის თვალსაზრისით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ერთგვარი ცვლილებანი მაოიზმის წარმატების კი არა, მარცხის შედეგია. თავის ახალ ტაქტიკურ ხაზს რომ ახორციელებს, ჩინეთის ხელმძღვანელობა იმედოვნებს სული მოითქვას, ძალა მოიკრიბოს, შეასუსტოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სიფხიზლე, გააქარწყლოს მაოიზმის კრიტიკა, მიაღწიოს წინანდელ მიზნებს ახალი, უფრო მოქნილი, უფრო დახვეწილი საშუალებებით.

ყურადღებას იპყრობს მაოისტური ჩინეთის პროპაგანდისტთა რიგების სპეციფიკური გაფართოება. თუ წინათ ამას უმთავრესად ეწეოდნენ მცირერიცხოვანი საზღვარგარეთელი დამქაშები და პეკინის აგენტურა, ახლა მათ ემსახურება იმპერიალიზმის მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა. ყველაზე მკაფიოდ ეს ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითით. ამ ორი-სამი წლის წინათ მაო ძე-დუნის აპოლოგეტები იყვნენ შეერთებულ შტატებში მხოლოდ „პეკინელთა ლობის" წარმომადგენლები, ახლა კი მაოიზმის პოპულარიზატორებად გვევლინებიან ამერიკის შეერთებული შტატების გავლენიანი იმპერიალისტური წრეები.

რასაკვირველია, საქმის გაუბრალოება იქნებოდა, თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში შეტანილ ყველა ახლანდელ კორექტივს მხოლოდ პეკინელ ლიდერთა დაპროგრამებული ტაქტიკური მანევრირებებით ავხსნიდით. როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, ეს ცვლილებანი მაოისტებისათვის იძულებითია, ნაკარნახევია ჩინეთში საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებებით.

შეგვიძლია გამოვთქვათ რწმენა, რომ თვით ცხოვრება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარების ობიექტური მოთხოვნილებები კვლავაც დაბეჯითებით დააყენებენ მაოისტური კურსის შემდგომი ცვლილების საჭიროებას. ეს გარდუვალია. მაგრამ საინტერესოა, თუ რა მიმართულებით განვითარდება აღნიშნული ტენდენციები. შეეწყობიან ისინი ხელს სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებას ჩინეთში თუ გარკვეულ ტრანსფორმაციათა შედეგად მაოისტები შეეცდებიან გამოიყენონ ისინი თავიანთი ინტერესებისათვის, სოციალიზმის საქმის, ჩინელი ხალხის ძირეული ინტერესების საზიანოდ.

* * *

საბჭოთა კავშირის პრინციპული ხაზი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ უცვლელი რჩება. ჩვენი სახელმწიფო განუხრელად ახორციელებს და კვლავაც განახორციელებს ჩინეთის მიმართ კურსს, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა. ეს კურსი ითვალისწინებს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების თანმიმდევრულ დაცვას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის ყოველმხრივ განმტკიცებას და ამავე დროს ჩვენი სამშობლოს ინტერესების ყოველგვარი ხელყოფისადმი მტკიცე წინააღმდეგობას.

ამავე დროს, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „ჩვენ მზად ვართ ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი არა მარტო ურთიერთობის ნორმალიზაციას, არამედ აგრეთვე კეთილმეზობლობისა და მეგობრობის აღდგენას საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის და რწმენას გამოვთქვამთ, რომ საბოლოოდ ანგარიშით ეს მიღწეული იქნება". ასეთი კურსი შეესაბამება როგორც სოციალისტური თანამეგობრობისა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საერთო ინტერესებს, ისე საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა ძირეულ ინტერესებს.

ი. ალექსანდროვი.
(„პრავდა", 1972 წლის 5/IX).

დღეს ბოროდინოს ველზე

მათ სამშობლო გადაარჩინეს

ბოროდინოს ბრძოლის 160 წლისთავი

Დღეს ბოროდინოს ველზე საბრძოლო დაფი და ნაღარა დაჰკრავს... სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სასულე ორკესტრი შეასრულებს საომარ მარშებს, რომლებიც რუსეთის არმიის მეომრებს სამშობლოს დასაცავად რაზმავდა 1812 წელს. ასე დაიწყება დიდი სახალხო ზეიმი, მიძღვნილი ბოროდინოს ბრძოლის 160 წლისთავისადმი. 7 სექტემბერს, ბრძოლის დაწყების დღეს, ბოროდინოს მუზეუმ-ნაკრძალში მოსკოველები და მოსკოვის მრავალრიცხოვანი სტუმრები შეიკრიბებიან. აჟღერდება პ. ი. ჩაიკოვსკის საზეიმო უვერტიურა „1812 წელი“. დღესასწაული რამდენიმე დღეს გასტანს...

1812 წლის 26 აგვისტოს (ახალი სტილით 7 სექტემბერს), სოფელ ბოროდინოსთან ერთმანეთს პირისპირ შეხვდა იმ დროის ორი დიდი არმია. დამპყრობელი არმია ფრანგებისა ნაპოლეონის მეთაურობით და რუსეთის არმია, რომელიც მკერდით იცავდა წმიდათა წმიდა მოსკოვს. ბოროდინოს ბრძოლა, რომელმაც 100 ათასი კაცი შეიწირა, სამუდამოდ შევიდა ისტორიაში.

ნაპოლეონს თან მოჰყვა 135 ათასიანი არმია, კუტუზოვს 126 ათასი ჰყავდა...

„ყველა ჩემი ბრძოლებიდან, ყველაზე საშინელი ეს ბრძოლა იყო“... აღიარა ნაპოლეონმა და მართლაც, ბოროდინოს ველზე მოხდა სწორედ ის დიდი გარდატეხა, რომელმაც შემდგომში განაპირობა ნაპოლეონის იმპერიის განადგურება. „ნაპოლეონი,— ამბობდა ფ. ენგელსი — გაემართა მოსკოვის დასაპყრობად და ამით რუსები პარიზში მოიყვანა...“

ბოროდინოს ველზე თავი გამოიჩინა ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ. რუსეთის არმიას ჰყავდა პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი, დიდი სამხედრო ტალანტით დაჯილდოებული და ბრძოლებში გამოწრთობილი. სუვოროვის და კუტუზოვის საყვარელი მოწაფე. ეს კარგად იცოდნენ ფრანგებმა, იცოდა ნაპოლეონმაც.

არც ერთი გამოჩენილი ფრანგი მარშალი არ სარგებლობდა თავისი მეომრების ისეთი სიყვარულით და მხარდაჭერით, როგორც ბაგრატიონი რუსეთის არმიაში. ჯარმა იცოდა და ყველას ნახული ჰყავდა პეტრე ივანეს-ძე ბრძოლის დროს. მოქნილი, შეუდრეკელი და მამაცი, ხმლით ხელში, უბრალო მეომრების გვერდით მძიმე და უთანასწორო ბრძოლებში იგი მზად იყო თავი გაეწირა თავისი მეომრების გულისთვის...

ნაპოლეონმა თავისი საუკეთესო ძალები რუსეთის მეორე არმიის წინააღმდეგ დარაზმა. ამ არმიას ბაგრატიონი სარდლობდა. ცნობილი „ბაგრატიონის ფლეშები“ რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. ბრძოლის დროს რუსი მეომრები გმირობის ნამდვილ სასწაულებს ახდენდნენ. ბაგრატიონი თვითონ მიუძღოდა ხელჩართულ ბრძოლებში თავის მეომრებს. ფლეშებზე მორიგი, მერვე შეტევის დროს ბაგრატიონი სასიკვდილოდ დაიჭრა. „ბაგრატიონის დაჭრამ მთელი რუსეთის არმიის გულისტკივილი და წუხილი გამოიწვია“, — წერს იმდროინდელი მემატიანე...

ბოროდინოს ბრძოლის დროს რუსეთის არმიის მხარდამხარ ბევრი სხვა ქართველი ვაჟკაციც იბრძოდნენ. აქ იყვნენ ჯავახიშვილები, გურამიშვილები, იაშვილი, რამდენიმე ბაგრატიონი, სვანიძეები და სხვანი მრავალნი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა გენერლის ალექსანდრე ქუთაისოვის გმირობა. ის ბრძოლის ველზე დაეცა და მემატიანეს სიტყვით, იმდენი ჭრილობა ჰქონდა მიღებული, რომ შეუძლებელი გახდა მისი ცხედრის გამოცნობა. ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინა გენერალმა იაშვილმა, რომელსაც თბილ სტრიქონებს უძღვნის თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში — „სახალხო ლაშქრობა 1812 წლის სამამულო ომში“ ისტორიკოსი ვ. ბაბკინი.

ბოროდინოს ბრძოლის დამთავრების შემდეგ ფელდმარშალმა მ. ი. კუტუზოვმა მუხლი მოიდრიკა რუსეთის გმირი არმიის წინაშე და ცრემლმორეულმა ასე მიმართა მათ: დღეს ყოველმა თქვენგანმა სამშობლო გადაარჩინა! რუსეთი მოგესალმებათ თქვენ, დევგმირებო, თავისი სახელით!...

დ. მაჭავარიანი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.
მოსკოვი.

მეთერთმეტე დღეს...

ინციდენტი ოლიმპიურ სოფელში

მიუნხენი, 5 სექტემბერი (საქდესი). დღეს აქ პრეს-კონფერენციაზე მე-20 ოლიმპიურ ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. დაუმემ განაცხადა, რომ ოლიმპიურ სოფელში, შენობას, რომელშიც ცხოვრობენ ისრაელის სპორტული დელეგაციის წევრები, თავს დაესხა პირთა ჯგუფი, რომლებიც, როგორც აქ ამბობენ, ეკუთვნიან პალესტინის ექსტრემისტულ ორგანიზაციას „შავ სექტემბერს“. ამ თავდასხმის შედეგად არის მსხვერპლი.

აღნიშნულ პირთა ჯგუფი იარაღის მუქარით აკავებს სპორტული დელეგაციის დანარჩენ წევრებს და მოითხოვს, რომ ისრაელის მთავრობამ საპატიმროებიდან გაათავისუფლოს 200 პალესტინელი.

ისრაელ სპორტსმენებთან ერთად შენობაში მომწყვდეული აღმოჩნდნენ ურუგვაისა და ჰონკონგის სპორტულ დელეგაციათა წევრები.

მიუნხენის პოლიციამ დღეს ალყა შემოარტყა ოლიმპიურ სოფელს, მის ტერიტორიაზე აღარ უშვებს ჟურნალისტებს. პოლიციელები შეჯიბრებაზე მხოლოდ სპორტსმენებს უშვებენ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალერსმა განაცხადა, რომ კანცლერმა ვ. ბრანდტმა „უაღრესად გადაჭრით დაგმო ტერორისტთა მოქმედება“.

როგორც აქ ცნობილი გახდა, საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა ამ ინციდენტთან დაკავშირებით სინანული გამოთქვა და სამძიმარი გამოუცხადა ოლიმპიურ კომიტეტს მსხვერპლის გამო.

საბჭოთა სპორტული დელეგაციის განცხადება

მიუნხენი, 6 სექტემბერი. (საქდესი). ოლიმპიადაზე სსრ კავშირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელებმა გააკეთეს შემდეგი განცხადება: „საბჭოთა სპორტული დელეგაცია დიდ წუხილს გამოთქვამს იმ ტრაგედიის გამო, რომელიც მოხდა 5 სექტემბერს მე-20 ოლიმპიურ ასპარეზობაზე, და აცხადებს, რომ ესწრაფვის კვლავაც შეუწყოს ხელი ოლიმპიური იდეალების პროგრესს, მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმეს, მიუნხენის ოლიმპიური ასპარეზობის წარმატებით დამთავრებას“.

ოლიმპიადა შეწყვეტილია

მიუნხენი, 5 სექტემბერი. (საქდესი). საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და ოლიმპიურ ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტეს დროებით შეწყვიტონ ოლიმპიური ასპარეზობა მიუნხენში ოლიმპიურ სოფელში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. მხოლოდ ის შეჯიბრებები დამთავრდება, რომლებიც დღეს უნდა გაიმართოს.

ოლიმპიური სოფლის რაიონში შემოჰყავთ ბუნდესვერის ჯარისკაცები. სოფელი კვლავინდებურად ალყაშემორტყმულია პოლიციისა და ჯარისკაცების რაზმებით.

მიუნხენში ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ვ. ბრანდტი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა

ბონი, 5 სექტემბერი. (საქდესი). აქ გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა, რომელზეც განიხილეს მიუნხენის ოლიმპიურ სოფელში შექმნილი მდგომარეობა. სხდომის დამთავრების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის, პრესისა და ინფორმაციის უწყებამ გაავრცელა ტექსტი მიმართვისა, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვ. ბრანდტმა გაუგზავნა არაბული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს. მიმართვაში ნათქვამია: „ფედერალური მთავრობა დიდად შეაძრწუნა ცნობამ, რომ ოლიმპიური მშვიდობა დარღვეულია თავდასხმის შედეგად, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი და საფრთხეს უქმნის სხვების სიცოცხლესაც. ამ ჟამს მოგიწოდებთ ყველაფერი იღონოთ, რათა გაათავისუფლოთ თავდამსხმელთა ხელში მყოფი მძევლები“.

სროლა ფიურსტენფელდბრუკში

მიუნხენი, 6 სექტემბერი. (საქდესი). გუშინ საღამოს ექსტრემისტული ორგანიზაციის „შავი სექტემბრის“ ტერორისტები, ერთი მხრივ, და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციის ხელისუფალნი, მეორე მხრივ შეთანხმდნენ, რომ როგორც ტერორისტები, ისე მძევლები თვითმფრინავით გაიგზავნებიან ერთ-ერთ არაბულ ქვეყანაში.

გვიან საღამოთი ტერორისტები და მძევლები მიიყვანეს ოლიმპიური სოფლის საზღვარზე, ხოლო შემდეგ ორი ვერტმფრენით გადაიყვანეს ფიურსტენფელდბრუკის აეროდრომზე მიუნხენიდან 25 კილომეტრზე, სადაც მათ ელოდა თვითმფრინავი „ბოინგი“. როცა ვერტმფრენები დაეშვნენ, ჩასაფრებულმა პოლიციელმა სნაიპერებმა ცეცხლი დაუშინეს ტერორისტებს.

სროლის დროს ტერორისტებმა გრანატებით ამოხოცეს მძევლები, ერთ-ერთი ვერტმფრენის პილოტი, აგრეთვე, პოლიციელი. სამი პოლიციელი დაიჭრა.

გრანატებმა აფეთქეს ვერტმფრენი, პოლიციამ და არმიის პატრულებმა ალყა შემოარტყეს აეროდრომის ტერიტორიას და ჩხრეკავენ იქაურობას.

ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელმაც განმარტა ჩასაფრების მიზეზები, განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ მძევლები დათანხმდნენ ტერორისტებთან ერთად გაფრენილიყვნენ კაიროში ან მაროკოში, გერმანიის ოფიციალურ პირებს, რომლებსაც მოლაპარაკება ჰქონდათ ტერორისტებთან, ეშინოდათ, რომ ჩასვლისთანავე ყველა მძევალს დახოცავდნენ. ამიტომ პოლიციამ გადაწყვიტა გადაერჩინა მძევლები თვითმფრინავში ჩასხდომამდე.

ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადების თანახმად სროლის დროს დაიხოცა 5 ტერორისტი და დაპატიმრებულია 3.

როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა ალერსმა განაცხადა, ფედერალურ მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ დაეშვა ტერორისტთა გაფრენა მძევლებითურთ. ალერსმა განაცხადა, რომ აეროდრომზე მომხდარი აქცია დაგეგმილი იყო.

ოლიმპიადა გაგრძელდება

მიუნხენი, 6 სექტემბერი. (საქდესი). საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება განაგრძოს მე-20 ოლიმპიური ასპარეზობა, რომელიც გუშინ შეწყდა ოლიმპიურ სოფელში მომხდარი ინციდენტის გამო.

ოლიმპიური ასპარეზობა დაიხურება ორშაბათს, 11 სექტემბერს, 10 სექტემბრის ნაცვლად, რაც წინათ იყო გათვალისწინებული.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა სამგლოვიარო ცერემონიაზე გამოსვლისას, რომელიც გაიმართა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე, დამსწრეთ მოუწოდა ბოლომდე მიიყვანონ მე-20 საზაფხულო ოლიმპიური ასპარეზობა.

შეჯიბრება ოლიმპიადაზე განახლდება დღეს ნაშუადღევს.

იმ ქარცეცხლიან დღეთა მოსაგონრად

გმირები არ კვდებიან

ოთხასთოთხმეტე ქართული მსროლელი დივიზია, რომელიც ომის წლებში ერთ ქალაქში ჩამოყალიბდა, 1942 წლის შემოდგომაზე მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იქნა ჩაბმული. ამ ბრძოლებში ქართველმა მეომრებმა გმირული ბრძოლები გადაიტანეს. მათ გაათავისუფლეს ქალაქი მოზდოკი, დაძაბული ბრძოლებით რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტიდან განდევნეს ოკუპანტები და შეუდგნენ კრასნოდარის მხარის განთავისუფლებას.

საარქივო მასალებში შემონახული დოკუმენტები ადასტურებენ, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, დივიზიამ ენერგიულად შეუტია კრასნოდარის მხარის მეთევზეთა სოფელ კალაბატკაში გამაგრებულ ჰიტლერელებს. ქართველი მებრძოლები თავგანწირვით იბრძოდნენ. ფასდაუდებელი გმირობა და სიმამაცე გამოიჩინა ალ. შავლიაშვილის, ნ. გვენცაძის, გ. მანაგაძის პოლკების რიგითმა და მეთაურთა შემადგენლობამ. ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ჩვენი ერის მდიდარ საბრძოლო ღირსებას ამ დივიზიის პოლიტმუშაკებმა მაიორ ა. ლორიას, ლ. ნიქვინიძის, პ. ჯაჯანიძის მეთაურობით. 414-ე დივიზიის საბრძოლო ისტორიაში სოფელ კალაბატკის ბრძოლები მტრის ჭარბ ძალებთან უთანასწორო ბრძოლის იშვიათი მაგალითი იყო.

1943 წლის 22 თებერვალს მთელი ღამის განმავლობაში წარმოებდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. 23 თებერვალს დილით ქართველი ვაჟკაცების სისხლით მორწყული იყო კალაბატკის მიწა. განსაკუთრებული გმირობა და სიმამაცე გამოიჩინა 1375-ე პოლკის ტანკსაწინააღმდეგო ასეულის მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობამ. ცოცხლად დარჩენილმა ოთხმა მებრძოლმა — კაჭარავამ, ჩაქვაძემ, გიუნაშვილმა და ჭანტურიძემ დიდი გმირობა გამოიჩინეს მტრის ძლიერი ტექნიკის შესაჩერებლად, ოთხივე მძიმედ დაჭრილი ხელყუმბარებით შეუტევდა მტრის ტანკს, ააფეთქეს იგი და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლების საქმეს.

ამ ოთხი ქართველი ვაჟკაცის გმირობის უშუალო მოწმენი დღეს ცოცხლები არიან. ესენია მეცნიერებათა კანდიდატი მ. კარტოზია, პოლკის ყოფილი კომისარი მაიორი ა. ლორია, პოლკის მეთაურები პოლკოვნიკები ალ. შავლიაშვილი, ნ. გვენცაძე, გ. მანაგაძე, ბატალიონის მეთაური შ. დავითულიანი, ამ სტრიქონების ავტორი.

სამამულო ომის საარქივო მასალებმა ხანდაზმულობით გაყვითლებულ ფურცლებზე შემოგვინახეს ცნობები იმის შესახებ, რომ ამ ბრძოლების საკუთარი თვალით დამნახველს, პოლკის ყოფილ კომისარს ა. ლორიას სპეციალურად მოუხსენებია დივიზიის კომისარ პოდპოლკოვნიკ გ. ინუჭიძისათვის. მას წერილობით უცნობებია არმიის პოლიტგანყოფილების უფროს გენერალ-მაიორ ემელიანოვისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს წითელი არმიის მთავარ პოლიტსამმართველოს უფროსის ა. შჩერბაკოვისათვის.

იმის გამო, რომ ბრძოლის მძიმე პირობებში ვერ მოხერხდა ამ მებრძოლების ვინაობის დადგენა, გმირობის ფაქტი დღემდე სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა. ფაქტის სინამდვილეს ამტკიცებს იმავე დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოფილი უფროსის პოლკოვნიკ გ. ჯანჯღავას წიგნში აღნიშნული აღწერილობა და ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის მ. კარტოზიას მოგონება. გმირების კონკრეტული ვინაობის დადგენის მიზნით ჩემს მიერ სხვადასხვა დროს გაზეთებში გამოქვეყნებულ იქნა წერილები — „გმირობა ჩადენილია, გმირები დასადგენია“, „დავეძებთ, ხომ არ იცნობდით“ და სხვ.

მრავალი წლის შრომამ შედეგი გამოიღო. გამოქვეყნებულ წერილებს გამოეხმაურა ნათესავებისა და ომის ვეტერანთა დიდი ჯგუფი.

თბილისში მცხოვრებმა ნ. ჭანტურიძემ წარმოადგინა 1943 წლის თებერვალში ფრონტზე უგზოუკვლოდ დაკარგული მამის ლეონტი თევდორეს-ძე ჭანტურიძის სურათი და ფრონტიდან გამოგზავნილი ერთადერთი წერილი. ლ. ჭანტურიძე თავის ოჯახს ატყობინებს, რომ იმყოფება 414-ე დივიზიის 1375-ე პოლკში. მისი სურათი გამოიცნეს მასთან ერთად ამ ბრძოლაში მყოფმა ომის ვეტერანებმა მ. გორდელაძემ, შ. დავითულიანმა, ხ. კოპლატაძემ, გ. სეფერთელაძემ, ნ. გურგენიძემ, მ. კარტოზიამ და, რაც მთავარია, სურათი გამოიცნო პოლკის ყოფილმა კომისარმა ა. ლორიამ. კვლევაძიების შედეგად ისიც დადგინდა, რომ 1375-ე პოლკში ლეონტი თეოფილეს-ძე ჭანტურიძის მეტი ამ გვარის არავინ იყო. ამრიგად, აშკარაა, რომ 1943 წლის 23 თებერვალს მტრის ტანკის ქვეშ გმირულად დაღუპული ნამდვილად არის ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ზემოსიმონეთელი ლეონტი თევდორეს-ძე ჭანტურიძე.

მეორე გმირის კაჭარავას ვინაობის დასადგენად კარგი როლი შეასრულა აბაშის რაიგაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა „ვინ იცნობდა კაჭარავას?“. ამავე გაზეთის რედაქტორმა ა. ქობალავამ წარმოადგინა ქ. აბაშაში მცხოვრებ პლატონ კაჭარავას ოჯახში ნაპოვნი 1943 წლის თებერვალში ფრონტზე უგზოუკვლოდ დაღუპული მათი შვილის ოთარ პლატონის-ძე კაჭარავას სურათი და სამი წერილი. წერილებით ირკვევა, რომ იგი ნამდვილად ირიცხებოდა 414-ე დივიზიის 1375-ე პოლკის ტანკსაწინააღმდეგო ასეულში, ამავე დროს კაჭარავას სურათიც გამოცნობილ იქნა მის გვერდით ბრძოლაში მყოფი ვეტერანთა დიდი ჯგუფის მიერ. ამრიგად, დადგინდა, რომ 1943 წლის 23 თებერვალს მტრის ტანკის ქვეშ, ხელყუმბარით გმირულად დაღუპული არის ქალაქ აბაშის მცხოვრები ოთარ პლატონის-ძე კაჭარავა.

აბაშის რაიგაზეთის რედაქტორმა გამოგზავნა კეთილარელი მიხეილ ჩაქვაძის სურათი. ეს სურათიც გამოიცნო ვეტერანთა დიდმა ჯგუფმა. დარჩა დასადგენი მეოთხე გმირის გიუნაშვილის ვინაობა. ამ საკითხის დადებითად გადაჭრაში გადამწყვეტი როლი ითამაშა გორის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებულმა სტატიამ „დავეძებთ გიუნაშვილს“, სტატიას გამოეხმაურა ფრონტზე 1943 წელს უგზო-უკვლოდ დაღუპული ზაქარია გიუნაშვილის შვილიშვილი ლილი გიუნაშვილი, რომელმაც წარმოადგინა თავისი პაპის სურათი. ამის გარდა 414-ე დივიზიის 1375-ე პოლკის ტანკსაწინააღმდეგო ასეულის ყოფილმა მებრძოლმა გორის რაიონ სოფელ სვენეთში მცხოვრებმა ნიკოლოზ განჯელაშვილმა დაადასტურა, რომ მისი თანასოფლელი ზაქრო გიუნაშვილი ამ ასეულში მასთან ერთად იყო და ნამდვილად მტრის ტანკის ქვეშ დაიღუპა.

გმირების ვინაობის დასადგენად მიმოკვლეული მასალები მაინც არ იქნა საკმარისად ჩათვლილი. სურათი გამოსაცნობად წარედგინა ამ ფაქტის საკუთარი თვალით მხილველს სერჟანტ მ. კარტოზიას, სამამულო ომის ვეტერანებს ნ. გურგენიძეს, ს. ბარამიძეს, შ. ნასარიძეს და დ. ესაკიას, რომლებმაც უყოყმანოდ წერილობით დაადასტურეს ზაქარია გიუნაშვილის გმირობის ამბავი.

ასე და ამრიგად ჩვენმა კვლევა-ძიებამ სასურველი შედეგი გამოიღო. დადგენილი არიან ის მებრძოლები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის ნათელ საქმეს. ეს გმირები არიან ოთარ კაჭარავა, ლეონტი ჭანტურიძე, მიხეილ ჩაქვაძე და ზაქარია გიუნაშვილი. მათი სახელები არასოდეს წაიშლება ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

შ. ფრანგიშვილი,
პოლკოვნიკი, თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ო. კაჭარავა.

დ. ჭანტურიძე.

მ. ჩაქვაძე.


ზ. გიუნაშვილი.

დილის ასპარეზობანი

მიუნხენი, 5 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ. ვ. კუკუშკინი, ა. სტაროდუბი, ი. ხრომოვი). დღეს დილას ოლიმპიური ჯილდოებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ „დებიუტანტები“: მხედრები, რომლებიც ერთმანეთს ცხენის გაწვრთნილობაში ეჯიბრებიან, კლასიკური ჭიდაობის ოსტატები და კანოეთი და ბაიდარებით ნიჩბოსნები.

ოცი ათასამდე მაყურებელი შეიკრიბა მიუნხენის გარეუბანში, ობერშლაისჰაიმის ტრასაზე, რათა ენახა ბაიდარებითა და კანოეთი ასპარეზობის მიმდინარეობა. ავტომობილთა სადგომები სავსე იყო მანქანებით. აქ იყო არა მარტო დასავლეთ გერმანიის მანქანები, არამედ ევროპის სხვა ქვეყნების მანქანებიც.

ყველა საბჭოთა სპორტსმენი ამ დღეს „მცირე ფლოტის“ ოლიმპიურ რეგატაში ჩინებულად გამოვიდა.

რამდენიმე დღით ადრე სტარტამდე, როცა ალექსანდრე შაპარენკოს მომავალი ასპარეზობის შესახებ მისცეს კითხვა, მან უპასუხა, რომ ბრძოლა მწვავე იქნება ბოლო, ფინალურ დღეს. მაგრამ, დასძინა მან, თავიდანვე ერთმანეთს შევამოწმებთ, ვის რა შეუძლიათ.

მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონისა და მეხიკოს ოლიმპიური ჩემპიონის სიტყვები იმავე გაცურვაში გამართლდა. შაპარენკოსთან ერთად სტარტი აიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ახალგაზრდა ნიჩბოსანმა იოახიმ მატერნმა. და თუმცა ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება პირველ სამ ნავს ეძლეოდა, იგი მხოლოდ ოდნავ ჩამორჩა პირველ ადგილზე გასულ შაპარენკოს.

იულია რიაბჩინსკაიამ, რომელმაც ერთიანი ბაიდარით ესტაფეტა მიიღო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლუდმილა პინაევასაგან, პირველივე გაცურვაში ცხადყო, რომ აპირებს თავისი წინამორბედის საპატიო რეპუტაციის შენარჩუნებას. 500 მეტრ დისტანციაზე იგი სტარტიდანვე წინ გაიჭრა.

ოლიმპიური რეგატის პირველი დღის ორ გაცურვაში გათამაშდა ფინალის საგზური. ლუდმილა პინაევამ, რომელიც ახლა ორიანი ბაიდარით გამოდიოდა დებიუტანტ ეკატერინე კურიშკოსთან ერთად, კარგად გაიარა მთელი დისტანცია, მეტოქეთათვის გამარჯვების არავითარი შანსი არ დაუტოვებია.

ფინალისტი გახდა ვასილ იურჩენკოც, რომელიც ფინიშზე კანოეთი მეორე მივიდა.

თანაბარი ტემპით წარმართეს ბრძოლა და გაიმარჯვეს ორიანი კანოეთი და ორიანი ბაიდარებით ვლადას ჩესიუნასმა და იური ლობანოვმა, ნიკოლოზ გორბაჩოვმა და ვიქტორ კრატასიუკმა. ოთხიანი ბაიდარებით რბოლაში ბრძოლა არსებითად მიმდინარეობდა დისტანციის მხოლოდ პირველ ნახევარში. შემდეგ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კვარტეტების უპირატესობა აშკარა გახდა. ფინიშზე ამ ნავებმა ტემპს უმატეს, ცდილობდნენ გამარჯვებას უკვე პრესტიჟისათვის. ჩვენებმა მეტოქეებს ოდნავ გაუსწრეს.

ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში მიმდინარეობს მიუნხენის ბაზრობის იმავე დარბაზში, სადაც ბრწყინავდნენ საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდავენი. სსრ კავშირის სპორტსმენებმა პირველი ორთაბრძოლები წარმატებით ჩაატარეს. გაიმარჯვეს ჯემალ მეგრელიშვილმა, რუსტემ კაზაკოვმა, ვიტალი კონსტანტინოვმა და ვლადიმერ ზუბკოვმა.

მიუნხენის ნიმფენბურგის პარკის ბალახის მწვანე გაზონზე დაიწყო გუნდური ტურნირი ცხენის გაწვრთნილობაში. აქ, როგორც სროლაში, ქალები მამაკაცებს ეჯიბრებიან და არცთუ წარუმატებლად. ჯერჯერობით საუკეთესო პირადი შედეგი აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენ ლიზელოტ ლინზენჰოფს — 1763,0 ქულა. მეორე ადგილზეა მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი ივანე კიზიმოვი — 1701,0 ქულა, რომელიც თავისი ერთგული იხორით გამოდის. საბჭოთა გუნდი ლიდერს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცხენოსნებს კვალდაკვალ მიჰყვება, ჩამორჩება მხოლოდ 33 ქულით. ჯერჯერობით მესამე ადგილზე არიან შვედები, რომლებიც საბჭოთა სპორტსმენებთან აგებენ 75 ქულით.

აუგსბურგში თამაშობდნენ სსრ კავშირისა და პოლონეთის ფეხბურთელები. შესვენებამდე გუნდები წავიდნენ ანგარიშით 1:0 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ (28-ე წუთზე ბურთი გაიტანა ბლოხინმა). მაგრამ მეორე ტაიმში საბჭოთა გუნდის მეტოქეებმა ჯერ აღადგინეს წონასწორობა (78-ე წუთზე დეინამ თერთმეტმეტრიანი საჯარიმოთი), შემდეგ კი საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე წინ გავიდნენ. გადამწყვეტი ბურთი შოლტისეკმა გაიტანა.

აი სხვა მატჩების შედეგები: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — მექსიკა 7:0 (2:0), მაროკო — დანია — 1:3 (0:0).

სამიდან ვერც ერთი საბჭოთა დაშნით მოფარიკავე ვერ მოხვდა პირადი ტურნირის ფინალში. იგორ ვალეტოვსა და გრიგოლ კრისს მხოლოდ თითო გამარჯვება აქვთ ნახევარფინალში, სერგი პარამონოვს — არცერთი.

სსრ კავშირის ფრენბურთელებისათვის წინასწარ ტურნირი უნდა ითქვას, ყველაზე მძიმე გამოდგა პოლონეთის გუნდთან შეხვედრა. ამ თამაშში გამარჯვება პოლონელ სპორტსმენებს ოლიმპიურ ჩემპიონებთან მოგებით გამოწვეული კმაყოფილების გარდა არაფერს არ აძლევდა. საბჭოთა ნაკრებს კი იგი სჭირდებოდა იმისათვის, რომ პირველი ადგილი დაეკავებინა თავის ქვეჯგუფში. პოლონელი ფრენბურთელები თამაშობდნენ დიდი აღმავლობით. საბჭოთა გუნდმა ყველაფერი იღონა, რათა გაემარჯვა. მატჩი სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მისი ბედი გადაწყდა მხოლოდ მეხუთე პარტიის უკანასკნელ წუთებში. სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 3:2 (11:15, 15:12, 15:12, 10:15, 15:13).

აქ გამოაცხადეს, რომ ექვსი სექტემბრის ასპარეზობანი დაიწყება არა დილით, არამედ 14 საათზე ადგილობრივი დროით.

სურათზე: ოლიმპიური ჩემპიონები წყვილმოხსამელიანი ორიანით ნიჩბოსნობაში ა. ტიმონინი და გ. კირშინოვი.

ჭადრაკი

ოთხ-ოთხი საგზური

რ. ჯინჯიხაშვილი — ფინალში

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის კალინინგრადის ჯგუფში წარმატებით იასპარეზა თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა **რ. ჯინჯიხაშვილმა**. მან მეორე-მესამე ადგილები გაიყო მოსკოველ გროსმაისტერ **ლ. შამკოვიჩთან** ერთად და ფინალის საგზური მოიპოვა — ორივემ 12-12 ქულა დააგროვა. გამარჯვებულმა — უკრაინის წარმომადგენელმა ოსტატმა **ვ. ჟიდკოვმა** მათ მხოლოდ ნახევარი ქულით გაუსწრო. მეოთხე ფინალისტი გამოვლინდა უკეთესი კოეფიციენტით — იგი აღმოჩნდა მოსკოველი გროსმაისტერი **ი. ბალაშოვი**. ფინალს მიღმა დარჩნენ გროსმაისტერები ა. სუეტინი და რ. ვაგანიანი.

ოდესის ჯგუფში ოთხივე საგზური ოსტატებმა მოიპოვეს — ოდესელმა **ლ. ალბურტმა** (11,5 ქულა), ვოროშილოვგრადელმა **გ. კუზმინმა** (10,5), მინსკელმა **ა. კაპენგუტმა** და **ბ. ზილბერშტეინმა** (რსფსრ). ფინალში ვერ მოხვდნენ გროსმაისტერები ვ. ტუკმაკოვი, ი. ავერბახი, ლ. შტეინი.

სოხუმის საერთაშორისო

სოხუმში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს რამდენიმე ცნობილი გროსმაისტერი მონაწილეობდა. ასპარეზობაზე კვლავ გამობრწყინდა მსოფლიოს ექსჩემპიონის მიხეილ ტალის ნიჭი და ოსტატობა. მან 11 ქულა დააგროვა 15 შესაძლებლიდან და პირველი ადგილი მოიპოვა. მეორეა გროსმაისტერი ვ. სავონი (10,5 ქულა), მესამე — გროსმაისტერი მ. ტაიმანოვი (10).

მეორე ეშელონში

გაიმართა მეორე ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. აი შედეგები ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისათვის:

ლიპეცკის „მეტალურგი“-ლანჩხუთის „გურია“ — 3:2, ვორონეჟის „ტრუდი“-ფოთის „კოლხიდა“ — 1:0, ბელგოროდის „სალუტი“-სოხუმის „დინამო“ —2:0, მახარაძის „მერცხალი“-ბათუმის „დინამო“ — 0:0, გორის „დილა“-რუსთავის „მეტალურგი“ — 0:1.

დღეს „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების მორიგ მატჩში მოსკოვის „სპარტაკი“ უმასპინძლებს როსტოვის სკა-ს.

„სინათლე“ — წიგნის ახალი მაღაზია



ჭავჭავაძის პროსპექტზე, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წინ გაიხსნა „საქწიგნის“ ახალი მაღაზია „სინათლე“. მხატვრული ტილოებით არის დამშვენებული დარბაზი, სადაც წიგნები ცალკეული სექციების მიხედვით არის განლაგებული.

— ჩვენი მაღაზია ორჯონიკიძის რაიონში ზონალური გაერთიანებაა, — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს მაღაზიის დირექტორმა გ. ტყეშელაშვილმა, — აქ იყიდება ყველა სახის ლიტერატურა — საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ტექნიკური, მხატვრული, საბავშვო, სახვითი ხელოვნების, ხელისმოწერითი გამოცემები ქართულ და რუსულ ენებზე, ცალკეა საცნობარო სტენდი, რომელიც მომხმარებელს აცნობს იმ ახალი წიგნების სიას, რომლებიც მაღაზიაში მიღებულია გასაყიდად.

სურათზე: ყოველდღე მრავალი მყიდველია ახალ მაღაზიაში.

ხ. კილაძის ფოტო.

ტელევიზია

7 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.00 — სკოლების დასახმარებლად: ფიზიკა VI კლასელთათვის. „დაკვირვებები და ცდები“, 11.25 — პირველად ტელეეკრანზე. ქართული მხატვრული ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“, 13.00 — ფერადი ტელევიზია „მეოცე საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“ (გადმოცემა მიუნხენიდან), 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — მოსწავლეთათვის. პიონერთა მეხუთე საკავშირო შეკრების მონაწილეთა კონცერტი, (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — განცხადებები, 18.35 — დოკუმენტური ფილმი „საუბარი მიწაზე“ (ქართულ ენაზე), 19.15 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, 19.30 — კინონარკვევი „კერგელენი“, 19.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.10 — ფერადი ტელევიზია. სპორტული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.25 — ფერადი ტელევიზია. მინიატურების სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი „მუნჯი ცოლი“, (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. „მეოცე საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“ (გადმოცემა მიუნხენიდან).

მეორე პროგრამით

17.05 — სკოლების დასახმარებლად: ქიმია IX კლასელთათვის. საწარმოო ხასიათის ამოცანების ამოხსნა. 17.50 — მასწავლებლის საათი: დაწყებითი კლასები („6 წლის ბავშვთა ფსიქოლოგიური თავისებურებანი“).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

8 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — კინონარკვევი — „კამის სიძველეთა საოცრებანი“, 11.25 — მხატვრული ფილმი — „სიჭაბუკის ნაპირი“, 12.45 — „დღევანდელი ხუთწლედის ყოველი წუთი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, 18.05 — „ახალი ამბები“, 18.10 — კინოჟურნალი „ახალი ამბები“, 18.20 — განცხადებები, 18.25 — ბავშვებისათვის. „იყო და არა იყო რა“, 18.35 — „არტეკმა დაამეგობრა“, 19.10 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სატელევიზიო ფესტივალი — უკრაინის სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

მეორე პროგრამით

17.05 — მასწავლებლის საათი. მათემატიკა (ანალიზური გეომეტრიის ელემენტები საშუალო სკოლის მათემატიკის კურსში), 17.50 — სკოლების დასახმარებლად — ანატომია (მერვეკლასელთათვის. „მედიცინის განვითარების ისტორია“), 18.35 — განცხადებები, 18.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმები, 19.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „საქმრო და საპატარძლო“.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 10221

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.